კვირეული „ვერსია“

ვერსია

№36 (1626) 14 — 20 სექტემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

სომხეთ-აზერბაიჯანის განახლებული ომი – მაშველი რგოლი კრემლისთვის?

რატომ სთხოვა სომხეთმა დახმარება რუსეთს

ექსკლუზივი – „კანონიერი ქურდი“ გია მაღალაშვილი ორივე თვალით დაბრმავდა!

ვინ არის მოსკოვში დაჭრილი „გია მაღალო“, ვის აწყობდა მისი განეიტრალება და რა ვერსიებზე ლაპარაკობენ ქურდულ სამყაროში

ბორჯომის ხანძრების ანატომია – ცეცხლი, შესაძლოა, ტყეში გადაგდებული შუშის ან პლასტმასის ბოთლის გამო გაჩნდა

ნინო ჩხობაძის ვერსიები და რეკომენდაციები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„ოპოზიცია ვერ შეძლებს ცხელი შემოდგომის აგორებას და ეს იქნება კიდევ ერთი იმედგაცრუება“



ვახტანგ ძაბირაძის პოლიტიკური ანალიზი

პოლიციამ ქვემო ქართლში შვილის ქორწინების იძულებისა და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული შ.ა., ოჯახის წევრის ქორწინების იძულებისა და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, 2002 წელს დაბადებულ შვილს – ს.ა.-ს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ქორწინება აიძულა, რის გამოც გოგონამ თვითმკვლელობა სცადა. ს.ა.-ს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა შესაბამისი საგამოძიებო, ასევე, საპროცესო მოქმედებების შედეგად, შ. ა. შეტყობინების მიღების დღესვე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

ოჯახის წევრის ქორწინების იძულებისა და გენდერის ნიშნით თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-150-ე პრიმა მუხლითა და 11 პრიმა 115-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ გურიაში განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ვ.მ., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ოზურგეთში დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა ოზურგეთში მეზობელს – 1967 წელს დაბადებულ მ.ბ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, გულმკერდის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

პოლიციამ ვ.მ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავა. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ი.დ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, სადახლოს გამშვებ პუნქტთან დააკავეს, რა დროსაც ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა 1990 წელს დაბადებული ლ.მ., რომელიც პოლიციის თანამშრომელია და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი პოლიციელი შემთხვევის დროს სამსახურეობრივ მოვალეობას არ ასრულებდა, იგი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე.

ლ.მ. ამჟამად მოთავსებულია სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შიდა ქართლის პოლიციამ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული ნ.ბ., არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა მეზობლად მცხოვრებ არასრულწლოვან გოგონაზე სექსუალურად იძალადა.

პოლიციამ ნ.ბ., ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულის სახით დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პარლამენტმა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი.

აღნიშნული ცვლილებების თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში შეიქმნება მეხანძრე-მაშველთა სპეციალური სასწავლო ცენტრი. სასწავლო ცენტრი აღიჭურვება მეხანძრე-მაშველთა სწავლებისთვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც უზრუნველყოფს მეხანძრე-მაშველთა სრულყოფილ მომზადებასა და გადამზადებას.

დღეისთვის მეხანძრე-მაშველთა სწავლებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ახორციელებს.

გარდა ამისა, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა მეხანძრე-მაშველთა წახალისების ახალი ფორმები. კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის, წახალისების ფორმით, მეხანძრე-მაშველის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამსახურის ჟეტონით დაჯილდოვება.

ასევე, მიღებული კანონით დარეგულირდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურში მიღებასა და სამსახურის გავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

სასაზღვრო პოლიციამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, წითელი ხიდის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „სადახლოს“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, სომხეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე: 1998 წელს დაბადებული ა.ხ. და 1996 წელს დაბადებული დ.მ. დააკავეს. მათ ბრალად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადმოკვეთა, ასევე, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და საქართველოში უკანონოდ შემოტანა ედებათ.

დანაშაულები 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოს მიმართულებით, ჯგუფურად, უკანონოდ გადმოკვეთეს სახელმწიფო საზღვარი და მართლსაწინააღმდეგოდ შემოიტანეს 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნინო დოლიძე

სომხეთ-აზერბაიჯანის განახლებული ომი – მაშველი რგოლი კრემლისთვის?

რატომ სთხოვა სომხეთმა დახმარება რუსეთს

უკრაინის პარალელურად, მსოფლიოს ყურადღება კავკასიისკენაც არის მიპყრობილი, რადგან სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული დაპირისპირება 13 სექტემბერს, ღამე, ისევ განახლდა. საერთოდ, ეს ახალი ომი არაა – კონფლიქტი 90-იანებში დაიწყო და მას მერე, თუ პატარ-პატარა შეტაკებებს არ ჩავთვლით, ბოლო დრომდე გაყინული იყო, მაგრამ ამ ზამთარს, ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო. მერე, თითქოს, კვლავ ძველ სტატუს-კვოს დაუბრუნდა, მაგრამ ახლა, ახალი ძალით იფეთქა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სომხეთმა დახმარება რუსეთს სთხოვა.

„სომხეთმა რუსეთს მიმართა მისი „სუვერენული ტერიტორიის წინააღმდეგ აზერბაიჯანის აგრესიის“ გამო, „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების“ რეალიზაციის მიზნით. რუსეთისადმი მიმართვის გადაწყვეტილება ერევანში მიიღეს, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრი, ნიკოლ ფაშინიანი ხელმძღვანელობდა. სომხეთმა მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოსაც და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას, რომლის წევრები სომხეთთან და რუსეთთან ერთად არიან ბელარუსი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი.

ამასთან, პრემიერ-მინისტრი ფაშინიანი ტელეფონით ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტ პუტინს. სომხეთის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ნიკოლ ფაშინიანმა აზერბაიჯანის ქმედებებს დაუშვებელი უწოდა და ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობის ადეკვატური რეაქციის აუცილებლობას. პრესსამსახურის ოფიციალური ცნობების თანახმად, სომხეთის პრემიერ-მინისტრს ამ შინაარსის საუბარი ჰქონდა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთანაც და აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან.

სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ აზერბაიჯანის არმიამ, არტილერიისა და მსხვილკალიბრიანი იარაღის გამოყენებით, ინტენსიური სროლა დაიწყო დასახლებული პუნქტების – გორისის, სოტქისა და ჯერმუკის მიმართულებით და სომხეთის შეიარაღებული ძალების პოზიციები დაცხრილა, რასაც მათი მხრიდან მოჰყვა თანაზომიერი რეაქცია.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს თანახმად, გვიან ღამით, სომხეთის შეიარაღებული ძალების დივერსიულმა ჯგუფებმა დანაღმეს აზერბაიჯანის არმიის ქვედანაყოფების პოზიციებს შორის არსებული რაიონები და გზები, ამ აქტების აღსაკვეთად აზერბაიჯანელი სამხედროების მიერ მიღებულ ზომებს კი, მოჰყვა ბრძოლა და დანაკარგი ორივე მხრიდან.

***მთიანი ყარაბაღის გამო, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ინტენსიური საბრძოლო მოქმედებები ორი წლის წინ განახლდა. 2020 წლის ნოემბერში, რუსეთის შუამავლობით, სომხეთი და აზერბაიჯანი საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამ შეთანხმებით, აზერბაიჯანმა დაიბრუნა ყარაბაღის რამდენიმე რაიონზე 90-იან წლებში დაკარგული კონტროლი. რეგიონში განთავსდა რუსეთის „სამშვიდობო კონტინგენტი“. კონფლიქტის ზონაში სიტუაცია დაიძაბა 2022 წლის აგვისტოშიც“,** – ვკითხულობთ ქართული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ომს და, საერთოდ, ნებისმიერ შეიარაღებულ კონფლიქტს დანაკარგები რომ მოჰყვება, ეს გასაგებია, მაგრამ ამჯერად, საქმე დანაკარგებში კი არა, ალბათ, უფრო იმაშია, სომხეთ-აზერბაიჯანის განახლებული კონფლიქტი ცეცხლის ალში მთელ კავკასიას გახვევს თუ არა. ამის ალბათობა თეორიულად არსებობს, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხეთმა დასახმარებლად რუსეთს მიმართა.

იმ ფონზე, როცა უკრაინაში კრემლი დიდ დანაკარგს განიცდის და უკან იხევს, შეიძლება, ვინმემ თქვას, პუტინს სომხეთის დასახმარებლად არ სცხელაო, მაგრამ გასათვალისწინებელია ორი გარემოება:

ერთი – უკრაინაში მარცხი ვლადიმერ ვლადიმერის ძისთვის ღირსების საკითხია ანუ უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსული არმიის „უძლეველობა“ ჩვეულებრივი ბლეფი იყო, რომელიც უკრაინელებმა საპნის ბუშტივით გახეთქეს.

ცხადია, ჯერ ომი არ დამთავრებულა და დასრულების პირიც არ უჩანს, მაგრამ თავად ოფიციალური მოსკოვიც იძულებულია, აღიაროს, რომ რუსები უკან იხევენ. ზოგი თვლის, რომ ეს უკანდახევა ერთგვარი ტაქტიკაა და ასეც რომ იყოს, გაქცევა ჯარში დემორალიზაციას იწვევს. როგორც ამბობენ, რუსი ჯრისკაცები უკვე დემორალიზებულნი არიან და გარკვეული ნაწილი ტყვედ ჩაბარებასაც ფიქრობს.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, პუტინს ახალი კონფლიქტი ნამდვილად სჭირდება, მით უმეტეს, კავკასიაში, სადაც სომხეთის დახმარების საბაბით, შესაძლოა, საქართველო და აზერბაიჯანიც ვასლებად აქციოს.

ამასთან, სომხეთ-აზერბაიჯანის ომში, რუსეთი საკუთარი უძლეველობის იმიჯის აღდგენას შეეცდება, რაც, დიდი ალბათობით, გამოუვა.

მეორეც – პუტინმა ამას წინათ, კიდევ უფრო გაამკაცრა კანონი, რომელიც უცხო ქვეყანაში რუსეთის მოქალაქეების დაცვას ითვალისწინებს. ჰოდა, ფაშინიანის თხოვნის პარალელურად, პუტინი ზემოხსენებულ კონფლიქტში, მინიმუმ, თავისი მოქალაქეების დაცვის საბაბით შეიძლება ჩაერთოს.

სხვათა შორის, აგვისტოს ხუთდღიანი ომისთვის კრემლმა სწორედ ეს სცენარი გაათამაშა.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, უკრაინის ომის ფონზე, დასავლეთი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს, ალბათ, სათანადო ყურადღებას ვერ დაუთმობს, რაც კრემლს კიდევ უფრო გაათამამებს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა განცხადება უკვე გააკეთა.

„შეერთებული შტატები ღრმად შეშფოთებულია სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე შეტაკებების შესახებ ცნობების გამო, მათ შორის, სომხეთის შიგნით დასახლებებზე და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმების შესახებ ცნობების შესახებ.

როგორც უკვე დიდი ხანია ავღნიშნეთ, კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტა არ შეიძლება. ჩვენ მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ შეწყდეს სამხედრო მოქმედებები“, – წერია სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ასეა თუ ისე, შავი ღრუბლები როდის გაიფანტება, არავინ იცის, თუმცა ნათელია, სომხეთ-აზერბაიჯანის განახლებული კონფლიქტი კარგს არავის მოუტანს.

ბორჯომის ხანძრების ანატომია – ცეცხლი, შესაძლოა, ტყეში გადაგდებული შუშის ან პლასტმასის ბოთლის გამო გაჩნდა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ნინო ჩხობაძის ვერსიები და რეკომენდაციები

ბოლო წლებია, ბორჯომში ხანძარი თითქმის ჩვეულებრივ ამბად იქცა. წელს, ხანძარი 19 აგვისტოს, ქვაბისხევი-ზორეთის ტყეში გაჩნდა, ძლიერი ქარისა და მაღალი ტემპერატურის შედეგად, ცეცხლი ჯერ დგვარის ტყეს გადაედო, შემდეგ ახალციხისკენ გადაინაცვლა. ხანძრის ჩაქრობაში ჩართული იყო შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დანაყოფები. ასევე, სასაზღვრო პოლიციის ავიაციის ხუთი ვერტმფრენი. ცეცხლის გაძლიერების გამო, საჭირო გახდა თურქეთის დახმარებაც და ხანძარს სამი სპეციალიზებული თურქული სახანძრო თვითმფრინავიც ებრძოდა. წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოდ, 100 ჰექტრამდე ტყეა დამწვარი.

საგულისხმოა ხანძრების სტატისტიკა : „თუ 2009 წელს, მხოლოდ 7 ტყის ხანძარი იქნა აღრიცხული, 2020 წელს, ეს რიცხვი უკვე 118-მდე გაიზარდა. 2009-2020 წლებში, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ხანძრით მოცულმა ტყის ფართობმა, 5 520 ჰექტარი შეადგინა. შესაბამისად, ტყის ხანძრები საქართველოსთვისაც სულ უფრო მზარდი და რთული გამოწვევა ხდება. განსაკუთრებით, 2017 წლის ხანძრის შემდეგ, როცა იმავე ბორჯომში, 1 100 ჰექტარი ტყე დაიწვა“, – წერია „ამერიკის ხმის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

წელს, ბორჯომის გარდა, ხანძარი საქართველოს არაერთ ლოკაციაზე გავრცელდა და საინტერესოა, გამომწვევი მიზეზის დადგენა. იყო ეს ორთვიანი გვალვა, ადამიანის მიერ გარემოს დაბინძურება, თუ დივერსია? – ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. მასშტაბური ხანძრების შესახებ, „ვერსია“ ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეები – დედამიწის მეგობრები“-ს თავმჯდომარესა და გარემოსდამცველ ნინო ჩხობაძეს ესაუბრა.

ნინო ჩხობაძე აცხადებს, რომ ახლა ზუსტდება, თუ რა ზარალი მიადგა საქართველოს წელს განვითარებული ხანძრებით: **„ვფიქრობ, რამდენიმე ფაქტორი არსებობს – ერთია კლიმატის ცვლილება, რადგან გახშირებული ხანძარი, მაღალი ტემპერატურის ფონზე, ჩვეულებრივი ამბავი გახდა საქართველოსთვის, ბოლო 10 წლის განმავლობაში. ალბათ, გამოწვეულია ანთროპოგენული ანუ ადამიანის ფაქტორით, თუმცა გამოძიებამ უნდა დაადგინოს, საიდან დაიწყო ხანძარი და რა იყო ეპიცენტრი“.**

ჩხობაძის განმარტებით, ტყის ხანძარი ძალიან რთული მოვლენაა და ჩაქრობის თვალსაზრისით, დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს:

„რთული გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ხანძრის ჩაქრობა მიწიდან შეუძლებელი ხდება, როცა ხეობაში ვრცელდება, თანაც ქარის გამოც, ძალიან სწრაფად. ტემპერატურა ბოლო პერიოდში იყო საკმაოდ მაღალი და ხანგრძლივი. ასეთი ექსტრემალური ტემპერატურა ყოველთვის იყო, მაგრამ არ ყოფილა ასეთი ხანგრძლივი. დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში, წვიმა არ მოსულა არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოში. ძლიერი წვიმა კი ზუსტად ის ფაქტორია, რომელიც მარტივად აქრობს ხანძარს“.

გარემოსდამცველი მიიჩნევს, რომ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რამ გამოიწვია ხანძრები:

„მეორე ფაქტორი ჩვენთვის უცნაურია, რადგან ბევრი ადამიანი არ ფიქრობს ამაზე, რომ მინის ბოთლის გადაგდებამ შეიძლება, გამოიწვიოს ხანძარი. წყლით სავსე პლასტიკის ბოთლიც იწვევს ხანძარს. ნარჩენი, რომელიც რატომღაც არის დაგროვრბული ტყეებში, ასევე, პრობლემაა ანუ ტყეს ყოველთვის სჭირდება ყურადღება იმ თვალსაზრისით, რომ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები ყოველთვის ტარდებოდეს, რადგან გვაქვს მოლოდინი, რომ იქნება კიდევ ხანძრები და გაძლიერდება“.

ნინო ჩხობაძის თქმით, მზადება პრევენციული ღონისძიებებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია:

„აგრეთვე, მნიშვნელოვანია, ადგილობრივ ტერიტორიებზე არსებობდნენ მოსახლეობის მოხალისე ჯგუფები, რომელთაც შეუძლიათ, უფრო სწრაფად რეაგირება ხანძართან მიმართებაში, ოღონდ ეს უნდა იყოს გაწვრთნილი, მომზადებული ჯგუფი – შესაბამისი აღჭურვილობით. ჩვენ კი, ყველაფერი ეს გვიჭირს. არაა საკმარისი, მხოლოდ გეგმა გქონდეს, რადგან ამის აღსრულება ბევრ შემთხვევაში რთულია“.

ჩხობაძე მიიჩნევს, რომ ხანძართან მიმართებაში, ერთ-ერთი პასუხისმგებელი უწყება უნდა იყოს სატყეო დეპარტამენტი და არა – მხოლოდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური:

„სატყეოსა და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტებს უნდა ჰყავდეთ კვალიფიციური კადრები, რომელთაც შეეძლებათ ხანძრის მართვა და სწორი გადაწყვეტილების მიღება ადგილზე, ასევე, მნიშვნელოვანია ტექნიკის არსებობა. ჩვენს პირობებში, აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო ავიაციის არსებობა. მესმის, რომ ეს გარკვეულ თანხასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ხანძრით მიყენებული ზიანი უფრო მეტია, არა მხოლოდ ტყის გადაწვით, არამედ დაკვამლიანებით, რომელიც იყო მთელ ბორჯომში, რამაც ეკონომიკურად დააზარალა მოსახლეობა. ტურისტული სეზონი ჩავარდა, რაც ძალიან დიდი პრობლემაა, მით უფრო, რომ ბევრი ტურისტი იყო წელს საქართველოში და მაღალი ტემპერატურის გამო, ცდილობდნენ, ტყისთვის შეეფარებინათ თავი. კოცონს ანთებდნენ თუ არა, ამას ხშირად ვერ ვაკონტროლებთ და არ ხდება ამის სწორი მართვა. აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ პირველ რიგში, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუ რა იყო ხანძრის მიზეზი და ეს ყველასთვის ცნობილი უნდა გახდეს, რადგან ეს ერთგვარი პრევენციაა. არ აქვს მნიშვნელობა, ვიპოვით თუ არა დამნაშავე პირს, მთავარია, ვიცოდეთ, რისგან წარმოიშვა ხანძარი“.

ჩხობაძე იმასაც განმარტავს, თუ რას გულისხმობს კანონი სიგარეტის ნამწვით, ბოთლის გადაგდებითა და სხვა ნარჩენებით ბუნების დაბინძურების შესახებ:

„კოდექსი „ნარჩენების შესახებ“ გულისხმობს, რომ არ შეიძლება, მანქანიდან სიგარეტის გადაგდება და წესით, უნდა ხდებოდეს იმ ადამიანების დაჯარიმება, რომლებიც აბინძურებენ გარემოს. ამ შემთხვევაში, სამი პასუხისმგებელი უწყება არსებობს: პოლიცია, ადგილობრივი თვითმმართველობა და გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახური. ამიტომ, კანონის გამკაცრება კი არა, აღსრულება უნდა ხდებოდეს“.

გარემოსდამცველი განმარტავს, რომ თუ დანაგვიანებამ მასშტაბური ხანძარი გამოიწვია, ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის დანაშაულთან და შესაბამის სასჯელთან გვაქვს საქმე. ჩხობაძე, ასევე, საუბრობს, თუ რამდენად იოლად დასადგენია, ექსპერტიზის საშუალებით, ხანძრის გამომწვევი მიზეზი:

„დღევანდელი მონაცემებით და თანამედროვე ტექნოლოგიებით ამის დადგენა შესაძლებელია. უბრალოდ, დამნაშავე პირის დადგენა უფრო რთულია“.

ნინო ჩხობაძე მსოფლიო პრაქტიკაზეც საუბრობს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებით:

„მუშაობენ მოსახლეობასთან, რათა იყვნენ მომზადებულები. გარდა ამისა, მუდმივად წვრთნიან და აღჭურვავენ იმ სამსახურებს, რომელებიც პასუხისმგებელნი არიან. უკვე დიდი ხანია, გამოიყენებენ ავიაციას, განსაკუთრებით, ჩვენნაირი ტიპის ქვეყნები, რადგან ყოველთვის არაა იოლი ხანძრის მართვა. თვენახევრის წინ, პორტუგალია-ესპანეთი-საფრანგეთის საზღვარზე იყო დიდი ხანძარი და ძალიან გაუჭირდა ევროპასაც კი ჩაქრობა, რადგან რთული ვითარება იყო მაღალი ტემპერატურის გამო. ჩვენ გვჭირდება სერიოზული აღჭურვა იმ სამსახურებისა, რიმლებიც პასუხისმგებელნი არიან და მუდმივი მომზადებაა საჭირო იმიტომ, რომ ზიანი ყოველთვის აღემატება იმ დანახარჯს, რასაც სახელმწიფო გასწევს ასეთი სტრუქტურების მოსამზადებლად. სახელმწიფოს პრეროგატივაა, რომ ნებისმიერი მოქალაქე დაცულად გრძნობდეს თავს და სახელმწიფო უნდა იყოს ამისთვის მზად“.

გარემოსდამცველი განმარტავს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაც გულისხმობს ამ საკითხის რეგულირებას:

„ეს გულისხმობს საუკეთესო მართვას და ტყესთან მიმართებაში მართვა ეხება ბუნებრივ კატასტროფებს, მათ შორის, ხანძარს, წყალდიდობას, მეწყერს და ა.შ. ახლა, წვიმა თუ დაიწყო და გაგრძელდა, გაჩნდება მეწყერების გაჩენის საფრთხე, რადგან ნიადაგი იმდენად გამომშრალი იყო, რომ ძლიერი წვიმის დროს, შეიძლება, განვითარდეს მეწყერი. ამიტომ მნიშვნელოვანია, რა გეგმებიცაა მიწოდებული ადილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის, იცოდნენ ამ დოკუმენტების კითხვა. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ადგილებზე არ გვყავს შესაბამისი კადრები, ქვედანაყოფები, რომელთაც შეუძლიათ ამაზე მუშაობა. განყოფილებები თითქმის არსადაა და ძალიან ცოტა მუნიციპალიტეტშია პირი, რომელიც გარემოსდაცვით ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ამას დარგის სპეციალისტების ჩართულობა სჭირდება“.

ნინო ჩხობაძის თქმით, საქართველოში, დაახლოებით, სამი წელია საკმარისი გადამწვარი ტყის აღსადგენად, რისთვისაც ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ოპოზიცია ვერ შეძლებს ცხელი შემოდგომის აგორებას და ეს იქნება კიდევ ერთი იმედგაცრუება“



6 სექტემბერს, პარლამენტში საშემოდგომო სესია დაიწყო. ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია კი ქუჩის პროტესტისთვის ემზადება და პოლიტიკურად ცხელ შემოდგომას აანონსებს. ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ, რომ საჯარო პროტესტისთვის აქტიურად ემზადებიან, რათა ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. საპროტესტო აქციების თემას განიხილავს ლელო და სტრატეგია აღმაშენებელიც. მართალია, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხშირად აკეთებენ განცხადებებს საპროტესტო აქციებისა და სავარაუდო რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ, მაგრამ ოპოზიციურ სპექტრს, ამ ეტაპისთვის, ერთიანი გეგმა წარმოდგენილი არ აქვს. საგულისხმოა, რომ ოპოზიციური პარტიები, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობაც არ განიხილავენ საპარლამენტო ბოიკოტს. მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:

– ვადამდელი არჩევნების თემა ახალი არაა, ორი წელია, ამაზე საუბრობენ და, ჯერჯერობით, კონტურები, რომ ვინმემ ვადამდელი არჩევნები დანიშნოს, არ ჩანს. მეტიც, მაკვირვებს ოპოზიციისა და კერძოდ, ნაციონალური მოძრაობის „ძველი გვარდიის“ გულუბრყვილობა, რომელიც თავად ხელისუფლებას წარმოადგენდა და შესანიშნავად ახსოვს 2009 წელი, როცა იმდროინდელმა ოპოზიციამ რუსთაველის გამზირი კარვებით გაავსო. მაშინ საპროტესტო ტალღა სამი თვე გრძელდებოდა, თუმცა მშვიდად ისხდნენ კაბინეტებში და ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგეს... რატომ დააკმაყოფილებს დღეს „ქართული ოცნება“ ოპოზიციის მოთხოვნას, უბრალოდ, არ მესმის. ოპოზიციური ელექტორატი, შესაძლოა, დღეს მართლაც იყოს 60%, მაგრამ აქედან ნაციონალური მოძრაობა ნახევარს თუ აკონტროლებს. აქედან გამომდინარე, მოწოდება, რომ შემოდგომა იქნება ცხელი, სერიოზული არ მგონია.

აქ მხოლოდ ელექტორატის რაოდენობაზე არაა საუბარი, საზოგადოებაში სხვა განწყობაა. საგარეო ვითარება აბსოლუტურად განსხვავებულია, დღეს ენმის მხარდამჭერებსაც კი უფრო მეტად სტაბილურობა უნდათ, ვიდრე ქუჩის ცხელი შემოდგომა. ოპოზიციამ, ორი წელია, ვერაფერი შეძლო და ახლა რა შეიცვალა? რაღაც ახალი მოიგონა? ყველა თემა, რაზეც ოპოზიცია საუბრობს, გავლილია და სიახლე არ არის, რომელიც შეძლებდა ოპოზიციური ელექტორატის გაერთიანებას და ქუჩაში გამოყვანას. ერთია საარჩევნო ყუთთან მხარდაჭერა და მეორეა ქუჩის პროტესტი. მათი აღრევა ყოველთვის წამგებიანია. შესაბამისად, ცხელ შემოდგომას არ ველოდები.

რაც შეეხება 12 პუნქტს, გეგმა არსებობს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დეკემბრის ბოლოს არ მთავრდება ვადა. ჩვენმა პარტნიორებმა 2023 წელიც მიამატეს ვადას, როდესაც საქართველოს კანდიდატის სტატუსი უნდა მიენიჭოს. შესაბამისად, ოპოზიციამ თუ ვერ შეძლო და ჩემი შეფასებით, ვერც შეძლებს ცხელი შემოდგომის აგორებას, ეს იქნება კიდევ ერთი იმედგაცრუება.

– ბატონო ვახტანგ, თაკო ჩარკვიანმა განაცხადა, ყოველთვის ვარ მომხრე ვადამდელი არჩევნების, მაგრამ არა იმ „ექსპერიმენტებით“, რასაც ორი წელია, ნიკა მელია ატარებსო. როგორ ფიქრობთ, პრობლემა მართლაც მელიაშია? თუნდაც იმ საკითხში, რომ ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ პარტიას პროცესები მასშტაბურ საპროტესტო აქციებში ვერ გადაჰყავს...

– როცა სურვილი და რეალობა ერთმანეთს არ შეესაბამება, ლიდერი ვერ შეძლებს საპროტესტო მუხტის აგორებას. თუ მელიას პრობლემაა, მაშინ სხვა პოლიტიკურმა ლიდერებმა წაიყვანონ ეს პროცესი ისე, როგორც უნდათ. პოლიტიკურად სააკაშვილის პრობლემა „ქართულმა ოცნებამ“ მოხსნა და სააკაშვილი ხელისუფლებისთვის არ წარმოადგენს საშიშროებას. ერთადერთი, თუ ფატალურად არ დასრულდა და დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ არ მიიყვანს აქამდე პროცესს, თორემ სხვა მხრივ, სააკაშვილის გავლენა ქართულ პოლიტიკასა და ელექტორატზე თითქმის ნულის ტოლია.

– ადვოკატებმაც განაცხადეს, რომ სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან ჩამოშორებას გეგმავს... სხვათა შორის, ბოლო ხანს, მისი „ფეისბუქ“-სტატუსები მხოლოდ უკრაინის თემაზე ქვეყნდება და მესამე პრეზიდენტი ქართულ პოლიტიკაზე აღარ საუბრობს...

– როგორც ჩანს, სააკაშვილი ცდილობს, ხელისუფლებას დაუმტკიცოს, რომ მართლა დაანება თავი ქართულ პოლიტიკას და მთლიანად გადაერთო უკრაინაზე ანუ ცდილობს, როგორმე თავი დააღწიოს ციხეს, მაგრამ ეს სხვა თემაა. მე გავლენაზე ვსაუბრობ, როცა ის გადაერთო უკრაინის პოლიტიკაში, მისი პოლიტიკური წონა საქართველოში ძალიან დაეცა... ფაქტორებზე ვსაუბრობ და თუ ლიდერშია საქმე, გადაირჩიონ მელია და სხვა მოიყვანონ, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ პრობლემა მხოლოდ ლიდერში არაა. მერწმუნეთ, ამ 30-წლიანი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ თუ საზოგადოებაში არ მომწიფდა პროტესტის მუხტი, ლიდერი ვერ შეძლებს ხალხის ქუჩაში გამოყვანას. ლიდერის ფუნქცია ის კი არაა, რომ ქუჩაში გამოიყვანოს ხალხი, არამედ, ის, რომ მომწიფებულ პროტესტს მისცეს მიმართულება. ასეთი სიტუაცია კი საზოგადოებაში მომწიფებული არაა. არასტაბილური გარემოს შექმნა საქართველოში მხოლოდ რუსეთს აძლევა ხელს და ამის მომხრე არ იქნებიან არც ჩვენი დასავლელი პარტნიორები. ამიტომ როცა აქციებზე საუბრობენ, წინასწარვე უნდა იცოდნენ, რომ ეს არის წაგებული თამაში. ოპოზიციამ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, თავის ფუნქციის შესარულებელი სტარტეგია ვერ მონახა, ამიტომ ათამაშებს ერთსა და იმავე კარტს, მაგრამ არ გორდება პროტესტი. მიუხედავად იმისა, რომ 80% საქართველოს ევროპულ მომავალს უჭერს მხარს, ეს არ ნიშნავს, რომ მათგან თუნდაც 20% ქუჩაში გამოვა.

– მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი გგონიათ თუ არა ის ფაქტი, რომ ოპოზიცია ზოგადი პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლება და არ სთავაზობს საზოგადოებას კონკრეტულ გეგმას – თავად როგორ ხედავს ამ ქვეყნის განვითარებას. ვფიქრობ, „გაიზარდა“ ამომრჩეველი და მხოლოდ ზოგადი პოსტულატებით აღარ კმაყოფილდება, საჭიროა, თვალნათელი, კონკრეტული გეგმა სხვადასხვა საკითხზე...

– ვერ გავიზიარებ, რომ ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურად „გაიზარდა“, მაგრამ დანარჩენ ნაწილში, რა თქმა უნდა, გეთანხმებით. ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ, ახალი არაფერი ჩანს ოპოზიციის მხრიდან არც პოლიტიკური და არც ტაქტიკური თვალსაზრისით. ამიტომაც, ოპოზიციური ამომრჩეველი ვერ ხედავს დაინტერესებას მისი ბედით და პრობლემებით. არავის აინტერესებს სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული ვითარება და ოპოზიციური ტელევიზიები მხოლოდ პოლიტიკურ ან კრიმინალურ თემებზეა გადართული. ყველაფერი ეს არ მუშაობს და იმას ვერ ხვდებიან, რომ სხვა თემა მოსინჯონ მაინც.

– ბატონო ვახტანგ, სამოქალაქო სექტორმა სცადა საპროტესტო აქციების ავანგარდში ჩადგომა, მაგრამ ვნახეთ, რომ უშედეგოდ. ახლა შესაძლოა, ოპოზიციას აქვს გათვლა, რომ იმ ხალხის მასშტაბურ პროტესტს, რომელიც ივლისში რუსთაველზე გამოვიდა, თავად ჩაუდგება სათავეში?

– ჭეშმარიტად არ ვიცი, რა გათვლა შეიძლება, ჰქონდეს ოპოზიციას. მეორე საკითხთან დაკავშირებით გეტყვით, რომ არასამთავრობო სექტორის საქმე არ არის პოლიტიკაში ასეთი ჩარევა, მას აქვს თავისი მიმართულებები, რომელზეც უნდა იმუშავოს. რაც შეეხება ხალხის მასშტაბურ გამოსვლას, ეს ხალხი სიახლის ძიებაშია და ოპოზიციურ ამომრჩეველს უნდა, რომ რაღაც ძალა გამოჩნდეს, რომელიც შეძლებს სიტუაციის გარდატეხას, მაგრამ როცა ნახა, რომ არასამთავრობო სექტორიც ზუსტად იმას იმეორებს, რასაც ოპოზიციური პარტიები, ამიტომაც დაიშალა.

ამასთან, სულსწრაფობა გვღუპავს ყოველთვის, რაც ისტორიულად მოგვდგამს ქართველებს, სამწუხაროდ. დაინახეს, რომ დიდი რაოდენობის ხალხი გამოვიდა და ზოგის კანცელარიასთან გადასვლა მოინდომეს, ზოგის – სხვაგან... არ მუშაობს ეს, საჭიროა არა სიტუაციის აფეთქება, არამედ, პროტესტის გამოხატვის თანდათანობით, მეთოდურად ზრდა. ამ მეთოდურ მუშაობას სჭირდება სხვა ახალ, მნიშვნელოვან თემებზე აქცენტირება.

მძიმე ვითარებაა სოციალური, ეკონომიკური მიმართულებით. დემოგრაფიული პრობლემის მეორე, უმძიმესი ტალღა დაიწყო. როცა 30 წლის წინ, ხალხი დასავლეთში გადიოდა, ამას, ასე თუ ისე, ვეგუებოდით. დღეს კი 40 წელს მიღწეული ადამიანები, რომელთაც ქვეყნის მშენებლობის ძირითადი ტვირთი უნდა ატარონ, ქვეყნიდან გადიან, რაც კატასტროფაა. თუ ჩვენი ხალხი ასე გაიხიზნება, აქ, ვინ – პენსიონერები დავრჩებით?! ეს უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრობლემაა, რომელიც უნდა ამოსწიონ. მათი გამტყუნება, რომლებიც აქედან გარბიან და უცხოეთში ეძებენ სარჩოს, რთულია, მაგრამ მეორე მხრივ, შენს ქვეყანაში უნდა იბრძოლო იმისთვის, რომ აქ შექმნა პირობები და არა – გაქცევით. სამწუხარო ვითარება გვაქვს და ამ თემებს დამუშავება უნდა...

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, რეალობა ასეთია – სტაბილურობა უნდა ხალხს. ეშინია ამ აგრესიის. შესაძლოა, 80% ქუჩაში გამოვიდეს და მხარი დაუჭიროს ევროპაში გაერთიანებას, მაგრამ ისიც საფიქრალია, რომ რუსეთის ეშინია და ხელისუფლების პოლიტიკას, რომელსაც დუმილისა და სიჩუმის მიმართულება აქვს, შეიძლება, გულწრფელად იზიარებდეს ძალიან ბევრი, რადგან იციან, ხიფათი საიდანაც მოდის.

ცვლილებები 2022 წლის ბიუჯეტში – ეკონომიკური ზრდის პირობებში, მთავრობა დამატებით ვალს აღარ აიღებს?

მაკა რუხაძე

რა ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წლის ბიუჯეტში

უახლოეს დღეებში, საქართველოს პარლამენტში, მიმდინარე წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების განხილვა დაიწყება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პირველ შვიდ თვეში, რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2.5%-ით გაზარდა. ამის გამო, დღის წესრიგში დადგა მიმდინარე ბიუჯეტში ცვლილებების მომზადების საკითხი. ეს ნიშნავს, რომ წინასწარ დაგეგმილი 6%-ის ნაცვლად, 2022 წელს, რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 8.5% იქნება. ფაქტობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დეფლატორის პროგნოზი – 10.5%-ია, ხოლო ნომინალური შიდა პროდუქტის პროგნოზი 72.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, 6 500 აშშ დოლარს აჭარბებს. ახლა, ვნახოთ, კონკრეტულად რა ცვლილებები შევიდა მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რომელიც უახლოეს დღეებში, პარლამენტმა უნდა განიხილოს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ლაშა ხუციშვილის განცხადებით, 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, დაახლოებით, 700 მილიონი ლარით, ხოლო საგადასახადო შემოსავლები – 1 მილიარდ 266 მილიონი ლარით იზრდება. მინისტრის თქმით, პანდემიის შემდგომ, გასული წლის მეორე კვარტლიდან, საქართველოს ეკონომიკამ აღდგენა დაიწყო და საბოლოოდ, 2021 წელს, ორნიშნა – 10.4%-იანი ზრდა დაფიქსირდა. აქედან გამომდინარე, 2022 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 6%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი 64.8 მილიარდი ლარი იყო.

„6%-იანი ზრდის შემთხვევაში, პროგნოზირებული იყო, რომ საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი 13%-ით გაიზრდებოდა, ხოლო 2019 წელთან შედარებით, ტურიზმის აღდგენის მაჩვენებელი 70%-ის ფარგლებში დაფიქსირდებოდა. უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებამ, პირველ ეტაპზე, რა თქმა უნდა, რისკები შექმნა და რომ არა ჩვენი სწორი პოლიტიკა, შესაძლებელია, დღეს არა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, არამედ, ეკონომიკური ვარდნაც გვქონოდა“, – განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

მინისტრის თქმით, საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი 3.1 მილიარდი აშშ დოლარია, რაც 36.4%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს, მათ შორის, ადგილობრივი ექსპორტის მაჩვენებელი 2.2 მილიარდი აშშ დოლარია, რაც 34%-ით მეტია 2021 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ქვეყნის ეკონომიკაში 1.6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 3.2-ჯერ მეტია 2021 წლის მაჩვენებელზე. 2019 წელთან შედარებით, მიმდინარე წლის შვიდ თვეში, ტურიზმიდან შემოსავლების აღდგენის მაჩვენებელი 87%-ს აღემატება. კერძოდ, იანვარ-აპრილში, აღდგენის საშუალო მაჩვენებელი 68% იყო, ხოლო მაისი-ივლისის პერიოდში, საშუალო მაჩვენებელმა 100%-ს გადააჭარბა.

ლაშა ხუციშვილის განცხადებით, წლის პირველ კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 922.9 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც გასული წლის მაჩვენებელს ორჯერ აღემატება, ხოლო 2019 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს 62.4%-ით აჭარბებს. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების წლიური პროგნოზებიც შეიცვალა. მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებების მომზადება, რომელიც ორიენტირებულია ორი ძირითადი მიზნის მიღწევაზე – ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირებაზე.

„პირველი არის მაკროეკონომიკური პარამეტრების კიდევ უფრო გაუმჯობესება, რაც ქვეყნისთვის მდგრადი და გრძელვადიანი ზრდის აუცილებელი პირობაა, ხოლო მეორე – მიმდინარე საჭიროებებზე დამატებითი ფინანსების გამოყოფა გახლავთ. 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტი დაიგეგმა მშპ-სთან მიმართებით 4.4%-იანი დეფიციტის, ხოლო მთავრობის ვალის – 51%-იანი ნიშნულის ოდენობით. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, 2022 წელს, 710 მილიონი ლარით ნაკლებ ვალს ვიღებთ, ვიდრე ბიუჯეტით გვქონდა დაგეგმილი და წლის ბოლოსთვის, მთავრობის ვალის მოცულობა შემცირდება მშპ-ის 40%-მდე, რაც იმაზე უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე ქვეყანას პანდემიამდე პერიოდში ჰქონდა. მთავრობის ვალის შემცირება 60%-დან უსაფრთხო, 40%-იან ნიშნულამდე, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნისთვის. ამასთან, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა მშპ-ის 4.4%-დან, 3.2%-მდე მცირდება“, – აღნიშნა ლაშა ხუციშვილმა.

მისი თქმით, დეფიციტისა და ვალის შემცირების პარალელურად, დამატებით მიიმართება, ერთი მხრივ, აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად, ხოლო მეორე მხრივ – ქვეყნის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებებით. მისივე განცხადებით, ამ კუთხით დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს დამატებითი თანხების გამოყოფას შემდეგ პროგრამებსა და სახელმწიფო პროექტებში:

სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოველთვიური დახმარება მიმდინარე წლის 1 ივნისიდან, 50 ლარით გაიზარდა და ყოველთვიურად, 150 ლარით განისაზღვრა. ცვლილების შემდეგ, სწორედ ამ პროგრამის დასაფინანსებლად, მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან 86 მილიონ ლარზე მეტს გამოყოფენ; მიმდინარე წელს, საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა დაიწყო, რისთვისაც გამოიყოფა 40 მილიონ ლარამდე; ჯანდაცვის პროგრამებზე დამატებით გამოიყოფა 80 მილიონი ლარი, მათ შორის, კორონავირუსის – COVID-19-ის მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის დამატებით 45 მილიონი ლარია განსაზღვრული; მცირემიწიან ფერმერთა სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერებით დასახმარებლად – 40 მილიონი ლარი; რთველის დასაფინანსებლად – 40 მილიონი ლარი; სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის სხვა პროგრამების დასაფინანსებლად – 70 მილიონი ლარი, მათ შორის, 55 მილიონი ლარი გათვალისწინებულია შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად; თავდაცვის სამინისტროს დასაფინანსებლად დამატებით გამოიყოფა 80 მილიონი ლარი, რომლითაც გაგრძელდება ჯარისკაცების ბინების მშენებლობა, ასევე, გაგრძელდება თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება; თბილისში იწყება პოლიციის ქალაქის მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც, 1 100-ზე მეტი ბინის მშენებლობა განხორციელდება; სამაშველო ვერტმფრენების შესყიდვის მიზნით, გამოიყოფა 50 მილიონი ლარი; სპორტის ხელშეწყობისა და მიღწეული შედეგების შესაბამისად, სპორტსმენთა დაჯილდოების მიზნით, დამატებით გამოიყოფა 43 მილიონი ლარი; თბილისსა და მუნიციპალიტეტებში, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსფერი იზრდება 65 მილიონი ლარით, ხოლო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის დამატებით გამოიყოფა 130 მილიონი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების საგადასახადო შემოსავლები, თავდაპირველ გეგმასთან შედარებით, 160 მილიონ ლარამდე გაიზარდა. მისი დიდი ნაწილი გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. კერძოდ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 80 მილიონი ლარით, რაც 2023 წელს, საქართველოში დაგეგმილი, ფეხბურთში ევროპის 21 წლამდე ჩემპიონატის მასპინძლობას, ასევე, საფეხბურთო სტადიონების მშენებლობა-რეაბილიტაციას მოხმარდება. ჯამში, მიმდინარე წელს, ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილია 6 მილიარდი ლარი, რაც უპრეცედენტოდ დიდი დაფინანსებაა.

* * *

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის წარმომადგენელი, ოთარ ანგურიძე აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ეკონომიკა, ბევრი მიმართულებით, რეკორდული გახლავთ, რასაც 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებების პროექტიც ადასტურებს:

„ექსპორტმა 3.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 36.4%-ით აჭარბებს გასული წლის მაჩვენებელს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2.2 მილიარდდოლარიანი ადგილობრივი ექსპორტის მოცულობა. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, პირველ შვიდ თვეში, 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 87% შეადგინა, ხოლო ცალკეულ თვეების მიხედვით, გადაასწრო კიდეც. დღგ-ს გადამხდელთა ბრუნვა 21%-ით გაიზარდა; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირველ კვარტალში 922.9 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც 2019-2020 წლების მაჩვენებლებს აღემატება. ყველაფერმა ერთად, ჯამურად, პირველ შვიდ თვეში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა მოგვცა“.

ოთარ ანგურიძე ამბობს, რომ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 1 266 მილიონი ლარით იზრდება და 16 824 მილიონ ლარი შეადგენს. მისი თქმით, მიმდინარე წელს, ასეთი მასშტაბური ფინანსური რესურსების მობილიზება იმის საშუალებას იძლევა, რომ ერთი მხრივ, მთავრობამ უარი თქვას დამატებით ვალის – 710 მილიონი ლარის აღებაზე, ხოლო მეორე მხრივ, შეამციროს არსებული ვალი და დავიდეს მშპ-ს 40%-მდე. რაც მთავარია, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 4.4%-ის ნაცვლად, შემცირდეს 3.2%-მდე.

„როდესაც ეკონომიკურ ზრდასა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე ვსაუბრობთ, ეს ნიშნავს, რომ პირდაპირ და ზოგიერთ შემთხვევაში, ირიბად, სხვადასხვა პროექტების სახით, ეს ზრდა ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს შეეხება. ეს ყველაფერი იძლევა საშუალებას, რომ განხორციელდეს მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი, გვქონდეს უკეთესი ჯანდაცვა, უკეთესი სოციალური პროგრამები, მეტად შევუწყოთ ხელი კერძო სექტორს და მეტი ახალი რეფორმა განვახორციელოთ, რათა მომავალი წელი უფრო სტაბილური და მაღალ ეკონომიკურ ზრდაზე იყოს ორიენტირებული“.

რა დარღვევები გამოვლინდა შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობაში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური შიდასახელმწიფოებრივი გზებით დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც 2021 წლის იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტს – SRAMP ეხება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ამ პროექტს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა სერიოზული ხარვეზები აღმოაჩინეს საავტომობილო გზების მშენებლობაში, მაგრამ იმავდროულად, ხარვეზების გამოსასწორებლად, რეკომენდაციებიც შეიმუშავეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი დასკვნა

ზოგადი მიმოხილვა

ვიდრე უშუალოდ დარღვევებს განვიხილავთ, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს გზების დეპარტამენტის სახით, 2016 წელს, შედეგზე დაფუძნებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი – SRAMP დაიწყო. ეს პროექტი დაფინანსებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის – „იბიარდის“ (IBRD) მიერ გაცემული სესხით.

პროექტის მიზნებია: გზით მოსარგებლეებისთვის სოციალურ სერვისებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის მდგრადი ფორმით გაუმჯობესება, პროექტით გათვალისწინებული გზების მეშვეობით; საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის აქტივების მართვის გაუმჯობესება.

აუდიტის ჯგუფმა განიხილა გურიის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისა და მისი შემდგომი შესრულების პროცესი, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით – ორი და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით – ოთხი პროექტირება-მშენებლობის პროექტების მიმდინარეობის პროცესი. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ზედამხედველი კონსულტანტების ყოველთვიური ანგარიშები, შუალედური გადახდის სერტიფიკატები გზების პროექტირება-მშენებლობისა და რეაბილიტაციის კონტრაქტები და მათი შესაბამისობა პროექტის მართვის სახელმძღვანელოსთან, ასევე, პროექტის შეფასების დოკუმენტთან.

აუდიტის ჯგუფმა ტექნიკური და გარემოსა და სოციალურ საკითხთა ექსპერტების მიერ მოწოდებული წინასწარი და საბოლოო ანგარიშებიც განიხილა, რათა განესაზღვრა პროექტირება-მშენებლობის და გურიის რეგიონში სარეაბილიტაციო კონტრაქტების ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების რეაბილიტაციისა და გაუმჯობესების მდგომარეობა.

ამასთან, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით საკომპენსაციო თანხების საკითხი და გზების უსაფრთხოების ინტეგრაცია აქტივების მართვის პროცესში. განხილულ იქნა განახლებული ხუთწლიანი პროგრამისა და მეექვსე წლისთვის მომზადებული გეგმის შესაბამისობა „გზების აქტივების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მრავალწლიანი გეგმის მომზადების სახელმძღვანელოსთან“, ასევე კლიმატური მდგრადობის პრიორიტეტული ღონისძიებებისთვის შემუშავებული დეტალური დიზაინი და სატენდერო დოკუმენტები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2021 წელს, 7 201 839 აშშ დოლარი გაიხარჯა.

დარღვევები ხიდისთავი-ატენი-ბოშურის პროექტში

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი – SRAMP ითვალისწინებს ხიდისთავი-ატენი ბოშურის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციას. გზის კონკრეტული მონაკვეთის გაფართოებისთვის საჭირო იყო მიმდებარე სოფლებისთვის განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა 2018 წლის ივლისში, იმავე წლის 14 სექტემბერს, შეთანხმდა მსოფლიო ბანკთან და ითვალისწინებდა 40 მიწის ნაკვეთის ნაწილობრივ შეძენას.

„განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისას გაირკვა, რომ რუკაზე, მიწების საკადასტრო მონაცემები საჯარო რეესტრში არასწორად იყო დარეგისტრირებული. მიწის მესაკუთრეებს გზების დეპარტამენტთან კოორდინაციით მოუწიათ მათი ხელახალი რეგისტრაცია. მთლიანობაში, 2018 და 2019 წლებში შეძენილ იქნა, შესაბამისად, 8 და 5 მიწის ნაკვეთი. გადახდილმა კომპენსაციამ 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 16 004 ლარი, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის – 21 532 ლარი. აუდიტის ჯგუფმა განიხილა კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დოკუმენტი. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 13 მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება სათანადო წესით გადაეცა გზების დეპარტამენტს. საკომპენსაციო თანხები გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფომ საკუთრებაში მიიღო 6 მიწის ნაკვეთი, თანაც ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე, რადგან ფიზიკურმა პირებმა ვერ შეძლეს ამ მიწების დარეგისტრირება. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დარჩენილ 21 მიწის ნაკვეთზე, კონკრეტული აქტივობების განხორციელების აუცილებლობა აღარ იყო.

ხარვეზები სხვადასხვა გზების მშენებლობაში

ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზის მონაკვეთის ადგილზე დათვალიერების შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ გარკვეული სამუშაოები შესრულებული იყო დაბალი ხარისხით; რკინა-ბეტონის კიუვეტებზე შეინიშნებოდა სეგრეგაციის ნიშნები, რაც გამოწვეული იყო რკინა-ბეტონის მილების შეერთებასთან დაკავშირებული დაბალი ხარისხის სამუშაოებით, რის გამოც გამსვლელ მილში წყალი ვერ ხვდებოდა; გზის გარკვეული მონაკვეთების გეომეტრიული მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საპროექტო მონაცემებისგან.

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობაში

მე-7 გვერდიდან

„ჟინვალი-ბარისახო-შატილის შიდა სახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთზე გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: მიმღები კონსტრუქციიდან, მილი არ ატარებდა წყალს გამშვებ კონსტრუქციამდე. ზემოაღნიშნული შეუსაბამობების გათვალისწინების გარეშე, ტექნიკური ექსპერტი მიიჩნევს, რომ გზაზე გადაადგილება უსაფრთხოა და შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. გარდა ამისა, გზის გარკვეულ მონაკვეთებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი იყო დაბალი, ტროტუარის სიგანე არ შეესაბამებოდა საქართველოში მოქმედ სამშენებლო სტანდარტებს და ნორმებს; საყრდენი კედლის ზომები უმნიშვნელოდ აღემატებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; შეინიშნებოდა დაზიანებული ასფალტის საფარი; ასფალტის საფარის გეომეტრიული მახასიათებლები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; ძირითად საპროექტო მონაკვეთზე შეინიშნებოდა გრძივი და განივი ბზარები, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ასფალტის საფარის მოწყობის დროს გადაბმის ადგილების არასათანადოდ იყო დამუშავებული.

მილის ქანობი მცირედით აღემატებოდა საპროექტო მონაცემს; შეინიშნებოდა დაზიანებული გამსვლელი სათავისის კედელი; კედლის სისქე არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს“.

გარდა ამისა, აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ლითონის ზღუდარები უხარისხოდ იყო მოწყობილი; განივი ქანობები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; გამსვლელი სათავისის გეომეტრიული მახასიათებლები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათ-

„ხიდისთავი-ატენი-ბოშურის გზის მონაკვეთზე, გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: საყრდენი კედლის არმირებას არ ჰქონდა დამცავი ბეტონის ფენა; საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის მონაკვეთზე, რკინა-ბეტონის მილის სექციები აცდენილია, ხოლო გადაბმის ადგილები არ არის ამოლესილი საპროექტო მოთხოვნების შესაბამისად; წყალგამშვებ კედელთან ქვაბული სათანადოდ დამუშავებული არ არის, რაც ხელს უშლის წყლის მილიდან გადინებას; მილის ქანობი უმნიშვნელოდ მცირეა პროექტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შედარებით“.

რეკომენდაციები

დარღვევების გამოვლენასთან ერთად, სახელმწიფო აუდიტორებმა რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. კერძოდ, გზების სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებულია და დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის, შესრულებული სამუშაოების ტიპზე, საავტომობილო ნაკადის ინტენსივობასა და ადგილობრივ კლიმატზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაარკვია, რომ გზების დეპარტამენტის მიერ წლიური გეგმის შემუშავების პროცესში არ მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო, სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. შედეგად, გზების დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა დაასაბუთოს, ირჩევს თუ არა საუკეთესო ვარიანტს მოვლა-შენახვას, პერიოდულ მოვლა-შენახვასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს შორის.

„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია, გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას, სამუშაოების ტიპის მიხედვით. შეფასება შესაძლებელია წარსული გამოცდილების, სამუშაოების ტიპის, წლის საშუალო დღიური ნაკადისა და რეგიონული კლიმატის საფუძველზე. აუცილებელია, სხვადასხვა სამუშაოს (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია) მოსალოდნელი შედეგების ურთიერთშედარება, შემდგომში მათგან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად“.

რაც მთავარია, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ არსებობს გზების, ხიდების, მაგისტრალებისა და საგზაო გვირაბების მშენებლობასთან დაკავშირებული ეროვნული ტექნიკური რეგულაციები და სტანდარტები. 2021 წელს, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა ჩაატარა თემატური კვლევა, სამშენებლო სექტორში ერთიანი სტანდარტების დანერგვის პრობლემებთან დაკავშირებით. გზების დეპარტამენტმა გამოითხოვა აღნიშნული ინფორმაცია და გამოხატა მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო ახალი რეგულაციებისა და სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვაში.

სამართალი

№36 14 სექტემბერი 2022 წ

ექსკლუზივი – „კანონიერი ქურდი“ გია მაღალაშვილი ორივე თვალით დაბრმავდა!

ვინ არის მოსკოვში დაჭრილი „გია მაღალო“, ვის აწყობდა მისი განეიტრალება და რა ვერსიებზე ლაპარაკობენ ქურდულ სამყაროში

ბათო ჯაფარიძე

6 სექტემბერს, მოსკოვთან ახლოს მდებარე სოფელ მოსტოვსკოეში, გასროლის ხმა გაისმა. ოფიციალური ვერსიით, 68 წლის ე.წ. კანონიერმა ქურდმა, გიორგი დიაკვნიშვილმა (მეტსახელად, „გია მაღალო“) თვითმკვლელობა სცადა. მისი სიცოცხლის გადარჩენისთვის ექიმები ამ დრომდე იბრძვიან, თუმცა უკვე ცნობილია, რომ გადარჩენის შემთხვევაში, დიაკვნიშვილი ერთ თვალს დაკარგავს, რადგან თვალი ძალიანაა დაზიანებული. ეს გახლავთ ოფიციალური ვერსია, თუმცა... ვინ არის დიაკვნიშვილი, რომლის გასროლასაც ისეთი ხმაური მოჰყვა, რომ მთავარმა რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა, გამოშვება, ლამის, ამ ამბით დაიწყეს?

დავიწყოთ იმით, რომ მოსტოვსკოე უბრალო სოფელი არ არის. მას ახალ მოსკოვსაც უწოდებენ და, ასე ვთქვათ, მილიონერების უბანია. იქ პატარა მიწის ნაგლეჯის ფასი 300 ათასი დოლარიდან იწყება და სახლის აშენება ორი ამდენი ჯდება. სწორედ იქ ცხოვრობდა ბოლო წლებში დიაკვნიშვილი.

„დიასახლისმა, ნინო შავიშვილმა სროლის ხმა გაიგო. ის სახლის მეორე სართულზე იმყოფებოდა, როცა სროლის ხმა გაიგონა და პირველ სართულზე ჩავიდა, სადაც დაინახა დივანზე მჯდომი დიაკვნიშვილი, რომელსაც საფეთქელიდან სისხლი მოსდიოდა. ამის შემდეგ, მან სასწრაფოში დარეკა“, – ასეთია რუსული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

რუსი ჟურნალისტების მტკიცებითვე, სასწრაფო დახმარების შემდეგ, ადგილზე სამართალდამცავებიც მივიდნენ და დაჭრილის სტატუსის გათვალისწინებით, ლამის, მთელი სოფელი გადაკეტეს.

არსებობდა ვერსია, რომ ე.წ. კანონიერ ქურდზე თავდასხმა მოხდა და ისინი სავარაუდო ეჭვმიტანილს ეძებდნენ, თუმცა ეს ვერსია გამოირიცხა და ახლა ოფიციალური განცხადება ასეთია – დიაკვნიშვილმა თავის მოკვლა სცადა, თუმცა...

არსებობს სხვა ვერსიაც. კულუარულად ამბობენ, რომ დიაკვნიშვილის დასაკავებლად და მისთვის რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 210.1 მუხლის წარსადგენად, სამართალდამცავები მის სახლში მივიდნენ და როცა დიაკვნიშვილი მიხვდა რას უპირებდნენ, ჩაბარებას და ციხეში წასვლას, სუიციდი არჩია.

მოგეხსენებათ, ბოლო წლებია, რუსეთში ე.წ. კანონიერ ქურდებს აქტიურად ებრძვიან და მათ ან ქვეყნიდან აძევებენ, ან საუკეთესო შემთხვევაში, ციხეში 12 წლით უშვებენ. 12 წელი მინიმალურია იმ კანონის შესაბამისად, რომელიც სწორედ ე.წ. კანონიერი ქურდების წინააღმდეგ მიიღეს. ასე რამდენიმე გავლენიანი ავტორიტეტი გაუყენეს ციხის გზას და ძალიან, ძალიან დიდი იყო შანსი, რომ იგივე დიაკვნიშვილისთვისაც გაეკეთებინათ. ჰოდა, 68 წლის კაცისთვის რუსულ ციხეში 12 წლით წასვლა, პრაქტიკულად, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. მისი დაკავება-გასამართლების შემთხვევაში, ციხეში 12 წლით კი არა, არამედ, პრაქტიკულად, სიცოცხლის ბოლომდე წავიდოდა.

„რა კანონიერი ქურდი? ვინ არიგებს ამ ტიტულებს? კანონიერი ქურდი ხართო, რომ მეკითხებით, რომ ვთქვა, ნაპოლეონი ვარ-მეთქი, დამიჯერებთ? ასაკოვანი კაცი ვარ, შვილები მყავს, შვილიშვილები, მაცადეთ მშვიდად ცხოვრება“, – ეს ის სიტყვებია, რომელიც დიაკვნიშვილმა 2017 წელს, მორიგი დაკავების დროს განაცხადა. მაშინ ქვეყნიდან მის გაძევებაზე საუბრობდნენ, თუმცა საბოლოოდ, რუსეთში დატოვეს და თითქოს მისი არსებობა დაივიწყეს კიდეც. თავის მხრივ, ბოლო წლებში, დიაკვნიშვილი მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა და კრიმინალურ ქრონიკებში მისი ხსენება აღარ ყოფილა, თუმცა ისე ჩანს, „მაღალოს“ არსებობა ვიღაცას ისევ გაახსენდა და გაახსენდა ისიც, რომ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ე.წ. კანონიერი ქურდი იყო და... სავარაუდოდ, არის კიდეც.

გარჩევებში რომ არ ერეოდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი სიტყვა არ ფასობდა.

და მაინც, ვინ არის გია დიაკვნიშვილი?!

გია დიაკვნიშვილი 1954 წლის 22 ივლისს, თბილისში დაიბადა და დიდუბეში, დიღმის მასივში გაიზარდა. პირველად, 17 წლის ასაკში დააკავეს ჩხუბის გამო, თუმცა მალევე გაათავისუფლეს, რადგან მაშინ ახალგაზრდებს მეორე შანსს აძლევდნენ. 1974 წელს, ერევანში თავხედური ქურდობა მოხდა და მთელი იქაური მილიცია ფეხზე დადგა. დაკავებულების ვინაობა მალე გახდა ცნობილი – ადგილობრივებთან ერთად, გისოსებსმიღმა, 20 წლის ე.წ. კანონიერი ქურდი, გია დიაკვნიშვილიც აღმოჩნდა. ჰო, ამ ასაკისთვის მას უკვე იმდენი „დამსახურება“ ჰქონდა, რომ „კანონიერ ქურდად“ ისეთმა გავლენიანმა ავტორიტეტებმა მონათლეს, როგორებიც თამაზ ჯარიაშვილი (მეტსახელად, „ინტელიგენტი“), ნიკოლაი ბარსეგოვი და სარხატ მანასელიანი (მეტსახელად, „სარიკ ავლაბარსკი“) არიან.

სწორედ ერევანში დაკავების შემდეგ დაიწყო დიაკვნიშვილის მოგზაურობა ციხეებში და არაერთხელ იხდიდა სასჯელს, თუმცა ყველაფერი ეს, მის სახელს მეტ დიდებას მატებდა. როგორც ძველი გავლენიანი ავტორიტეტები ჰყვებიან, გიას უზადო ავტორიტეტი და სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა. მას უდიდეს პატივს სცემდნენ და ასე იქცა დიდუბელი ბიჭი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ე.წ. კანონიერ ქურდად. მას ყველა ითვალისწინებდა, მისი სიტყვა კანონი იყო და რაც მთავარია, ყოველთვის ცდილობდა, გადაწყვეტილება ვინმეს სასარგებლოდ კი არა, სამართლიანად მიეღო. ამიტომ, არცთუ იშვიათად, სხვა გავლენიანი ქურდები ცდილობდნენ, „მაღალო“ გარჩევებში არ ჩაერიათ, თუმცა იშვიათად ახერხებდნენ.

ასე, მაგალითად, 2009 წელს, ტარიელ ონიანთან კონფლიქტის გამო, დიაკვნიშვილმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისთვის „ტარო“ ქურდი აღარ იყო, რამაც მაშინ ძალიან დიდი ხმაური გამოიწვია, თუმცა ერთ მაგიდასთან ონიანისა და დიაკვნიშვილის დასმა და საქმის გარჩევა ვერ მოხერხდა, რადგან ტარიელი სასჯელს იხდიდა, შემდეგ კი, როცა გაათავისუფლეს, ორ საათში ისევ დაიჭირეს და ესპანეთში გადაიყვანეს, სადაც ასევე, ციხეში შეაბრუნეს. იქიდან გათავისუფლების შემდეგ კი ონიანმა ევროპისა თუ აზიის ქვეყნებს მიაშურა და ცდილობს, სამართალდამცავებს თვალში ნაკლებად გაეჩხიროს, თუმცა რატომ მხოლოდ ონიანი, დიაკვნიშვილმა 2015 წელს, ჯემალ მიქელაძე უმცროსიც არაქურდად გამოაცხადა და იმავე წელს, იგივე ბედი დავით ბოჟაძეს (მეტსახელად, „როკო“) და გელა ქარდავას (მეტსახელად, გელა „გალსკი“) ეწიათ.

მართალია, არცერთი ზემოთნახსენები ე.წ. კანონიერი ქურდი დიაკვნიშვილის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა, მაგრამ „მაღალოს“ სიტყვა ბევრისთვის კანონი იყო.

სწორედ 2015 წლის შემდეგ შეეცადა დიაკვნიშვილი კრიმინალურ სამყაროს ჩამოსცილებოდა და დარჩენილი ცხოვრება მშვიდად გაეტარებინა, თუმცა ამ საქმიდან თავიდან არაფერი გამოვიდა. მასთან არა მარტო ჭკუის საკითხავად, არამედ საქმის გასარჩევადაც მიდიოდნენ და საბოლოოდ, ხმაურიან და ჭრელ მოსკოვში ცხოვრებას, სოფელ მოსკოვსკოეში გადასვლა არჩია.

როგორც გვიყვებიან, სოფელში დასახლების შემდეგ, ის არ იღებდა სტუმრებს, რომლებსაც შეეძლოთ გავლენიან და მდიდარ სამეზობლოში რამე ეჭვი გამოეწვიათ და მართალია, მისთვის ე.წ. კანონიერი ქურდის სტატუსი არავის ჩამოურთმევია, მაგრამ, პრაქტიკულად, აღარ იყენებდა და არაფერში ერეოდა.

სწორედ ამიტომ, საინტერესოა, ვის და რატომ გაახსენდა დიაკვნიშვილის არსებობა და რატომ არ დააცადეს მშვიდი ცხოვრება? რუსეთში დღესაც არიან საქმეს ჩამოშორებული გავლენიანი კრიმინალები, მაგრამ სამართალდამცავებმა იციან, რომ ისინი არაფერში ერევიან და მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობასაც აძლევენ. ასე იყო ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, „მაღალოსთან“ მიმართებაშიც, მაგრამ...

ვარაუდი იმის შესახებ, რომ დიაკვნიშვილის შეწუხება მისმა კოლეგებმა გადაწყვიტეს, არსებობს. საქმე ის გახლავთ, რომ საქმეებს ჩამოშორებული ე.წ. კანონიერი ქურდების გარდა, რუსეთში არიან ისეთებიც, რომლებიც ბოლო ხმაზე ყვირიან, რომ ქურდის სტატუსს ფლობენ და მათ სამართალდამცავები არ ეხებიან. ჰოდა, სწორედ ასეთი ე.წ. კანონიერი ქურდების წინააღმდეგ სურდათ გალაშქრება რუსეთიდან გაქცეულ და ევროპაში მიმოფანტულ კოლეგებს და ვარაუდობენ, რომ ყველაფერი ეს, გიას ხელით უნდა მომხდარიყო. რამდენად დათანხმდებოდა დიაკვნიშვილი მშვიდი ცხოვრების არევას, სხვა საკითხია, თუმცა დიდი შანსია, რომ ვიღაცამ ან ვიღაცებმა თავი დაიზღვიეს და ისეთი ავტორიტეტისგან, როგორიც დიაკვნიშვილია, უბრალოდ, გათავისუფლება არჩიეს.

დაჭრილის გარემოცვა ამბობს, რომ გამორიცხული იყო, მას რამე გარჩევაში მიეღო მონაწილეობა, იმდენად მოსწონდა მშვიდი ცხოვრება, თუმცა სავარაუდოდ, ეს სჯეროდა მხოლოდ გარემოცვას და არა – სხვებს.

P.S. მასალა უკვე მომზადებული გვქონდა, როცა გვითხრეს, რომ დიაკვნიშვილი კომადან გამოვიდა და ახლობლებსაც ესაუბრა, თუმცა ექიმებმა დადასტურებულად თქვეს, რომ ის ორივე თვალით სრულად დაბრმავდა, რადგან ტყვიამ ორივე თვალის ნერვი დააზიანა და თანამედროვე მედიცინის პირობებშიც კი, ამ ეტაპზე, მხედველობის აღდგენაზე საუბარი არ მიდის.

თბილისში, ბოშა ქალმა შვილის ძმაკაცი მოკლა

ნარკოტიკების გასაღების სკანდალური სქემა და დაჭერას გადარჩენილი ლუდის ქართველი მაგნატები

ბათო ჯაფარიძე

ლუდის კულტურა საქართველოში, საუკუნეებია, არსებობს. მთა-თუშეთსა და ხევსურეთში, ლუდს დღესაც ხარშავენ და ვისაც იქ მოხარშული ლუდი დაუგემოვნებია, დამეთანხმება, რომ სხვა გემო აქვს. კომუნისტების დროს, ლუდით არცთუ სასიამოვნო სადღეგრძელოებს სვამდნენ – ცუდ ხალხს ადღეგრძელებდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც პატრიარქმა კურთხევა მოგვცა, ლუდით ადამიანები ჩვეულებრივად ილოცებიან და ძალიან იშვიათად ხდება, რომ ძველი, კომუნისტური სადღეგრძელოები გაიხსენონ. ლუდის მეშვეობით, საქართველოში რამდენიმე ადამიანმა არა მარტო დიდი ფული იშოვა, არამედ, პოლიტიკაშიც ჩაერია, პარტია შექმნა და რამდენჯერმე, პარლამენტშიც მოხვდა. დღესაც, ლუდის ბიზნესი ერთ-ერთი მომგებიანია არა მარტო საქართველოში და მომხმარებელთა რიცხვი, პრაქტიკულად, არასოდეს კლებულობს.

„შევარდნაძე პრეზიდენტად ახლადარჩეული იყო, ბიზნესი ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს საქართველოში, ვცდილობდით, ახალი დროისთვის ფეხი აგვეწყო. განყოფილებაში ზარი შემოვიდა, კონკრეტულ მისამართზე, ავტოფარეხებთან, მამაკაცის გვამიაო და ადგილზე ორი მანქანით გავედით. სანამ ადგილამდე მივიდოდით, დავინახეთ, როგორ გარბოდა გოგონა იმ ადგილიდან, ძალიან შეშინებული იყო, ისიც დავაკავეთ და თან მიზეზიც გვქონდა – ხელზე სისხლი ეცხო. მითითებულ ადგილზე, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი ნამდვილად დაგვხვდა, თუმცა შეხებისთანავე მივხვდი, გოგონას მოკლული არ იქნებოდა, რადგან ყველაზე ცოტა, 24 საათის გარდაცვლილი იყო, თანაც თავზე უზარმაზარი ჭრილობა ეტყობოდა, იქ კი სისხლის კვალი არ იყო ანუ მამაკაცი მოკლეს და იქ მიიტანეს, მაგრამ ვინ იყო გოგო და რას აკეთებდა გვამთან, ეს უნდა გაგვერკვია“, – გვიყვება იმ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი, რომლის დროსაც, შემდგომში ცნობილი ლუდის ქართველი მაგნატები, ლამის, სერიოზულ შარში გაეხვნენ.

გოგონა ძალიან, ძალიან უცნაური ისტორიას მოჰყვა. ის დაქალთან ერთად, შინ ბრუნდებოდა, როცა გზაზე ბოშა ქალი გადაუდგა და უთხრა, შენი სახელი ვიცი, გიმკითხავებო. გოგონებმა გზა განაგრძეს, მაგრამ ქალმა მას სახელი დაუძახა, შემდეგ მამის სახელი უთხრა და გოგონა გაჩერდა. დაქალი არ დაელოდა და ამ მკითხაობის დროს, გოგომ აღმოაჩინა, რომ ოქროს ყლსაბამი გაქრა, რის გამოც ყვირილი ატეხა, ქალმა კი უთხრა, რომ ყელსაბამი არსად გამქრალა და ის იმ ადგილზე უნდა მისულიყო, სადაც შემდგომში, მილიციამ გვამი იპოვა. ოქროს ყელსაბამი გვამზე იდო, გოგონამ შიში დაძლია, აიღო, გამოიქცა და სწორედ ამ დროს დაიჭირეს. ყველაზე საინტერესო ამ ისტორიაში ის გახლდათ, რომ დაქალი ადასტურებდა ბოშასთან შეხვედრას, თუმცა შემდგომი ისტორია აღარ იცოდა. ფოტორობოტის შექმნა კი, უბრალოდ, არ გამოვიდა – ჭრელ კაბაში გამოწყობილი და, პრაქტიკულად, ერთნაირად მოკაზმული ბოშები ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ.

გარდაცვლილის ვინაობა მალე გაარკვიეს. ის თბილისში მცხოვრები მცირე მეწარმე იყო და... სახლთან ახლოს, ლუდსახარში ჰქონდა, სადაც ლუდს მცირე რაოდენობით აწარმოებდა, მაგრამ კარგად ყიდდა და რაც მთავარია, ყიდდა იმაზე ძვირად, ვიდრე სხვა ლუდი იყიდებოდა. მეზობლებმა ისიც თქვეს, არცთუ დიდი ხნის წინ, მასთან სახლში, ლუდის ქართველი მაგნატები იმყოფებოდნენ და ბინიდან ყვავილისა და მუქარის ხმაც გამოდიოდაო. იმის მიუხედავად, რომ დასახელებული პირები საზოგადოებაში კარგი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ, მათი დაკითხვა მაინც გადაწყდა.

„ორი ლაწირაკია. ლუდის წარმოება დაიწყეს და ძალიან მცირე „აბაროტებზე“ მუშაობენ, თუმცა ჩემებმა თქვეს, კარგ ლუდს ხარშავენო. ვიყიდე, გავსინჯე, მომეწონა და იმ ლუდსახარშისა და რაც მთავარია, რეცეპტის ყიდვა მინდოდა. იმის მიუხედავად, რომ რეალური ფასი შევთავაზე, შემდეგ – არარეალურიც ანუ საკმარისზე ბევრად მეტი, უარი მივიღე. გავბრაზდი, ჯერ ერთი, არ ვარ უარს ჩვეული და მეორეც, თავხედურად მესაუბრებოდნენ, ტექნოლოგიას ვხვეწთ, უნდა გავფართოვდეთ, ბაზარს ავითვისებთო. ამიტომ დავემუქრე, მაგრამ წამოვედი, მაგის მოკვლა რად მინდოდა, საგადასახადოთი დავახრჩობდი“, – აგდებულად თქვა დაკითხვაზე ლუდის მაგნატმა და მართალიც იყო. მისი კავშირების წყალობით, ყოველდღურად იმდენჯერ დააჯარიმებდნენ იმ ლუდსახარშს, რომ ვალებიდან ვერ ამოვიდოდნენ. შესაბამისად, არ იყო მოტივი, რის გამოც შეიძლებოდა, მაგნატებს თავი შეეწუხებინათ და კიდევ, ასეთ კონცერტებს არ დადგამდნენ. სამაგიეროდ, გამომძიებლებმა გაიგეს, რომ ბიჭს პარტნიორი ჰყავდა და რაც მთავარია, უფულობას არცერთი უჩიოდა.

გარდაცვლილის ბინის ჩხრეკის შემდეგ, სამართალდამცავებმა სოლიდური თანხა და... ნარკოტიკის კვალი იპოვეს. არადა, ექსპერტიზა ამტკიცებდა, გარდაცვლილის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი არ იყო, მას თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, შემდეგ კი, როცა დაეცა, იგივე საგანი არაერთხელ ჩაარტყეს და შეგნებულად მოკლესო. გაჩხრიკეს მისი პარტნიორის ბინაც, ნარკოტიკის კვალი იქაც იყო, თუმცა არა – დიდი ოდენობა. საბოლოოდ, გაჩხრიკეს ლუდსახარში და როგორც იქნა მიაგნეს კილოგრამამდე ჰეროინს, რომელიც უცნაურად იყო დაფასოებული – პატარა, პლასტმასის ამპულებში ეყარა. ჰო, სწორედ რომ ამპულებში და...

„ლუდსახარშში, ჩემმა კოლეგებმა დაფასოებული ლუდი გახსნეს და დალევა დაიწყეს. ერთ-ერთი ალუმინის ქილიდან, სწორედ ის პლასტმასის ამპულა გადმოვარდა, რომელშიც ნარკოტიკი იყო და ამის შემდეგ მივხვდი, რა ხდებოდა რეალურად, რატომ იშოვეს დიდი ფული მცირე რეალიზაციით და რაც მთავარია, ამოვხსენით საიდუმლო, როგორ ყიდდნენ ნარკოტიკს ბოშები. ინფორმაცია შემოდიოდა, რომ ნარკოტიკები ბოშებთან იყიდებოდა, მაგრამ რამდენჯერაც ჩხრეკა ჩავატარეთ, იმდენჯერ ვერაფერი ვიპოვეთ, ლუდის ალუმინის ქილების გახსნა კი აზრადაც არავის მოსვლია. რაღა თქმა უნდა, გარდაცვლილის პარტნიორი დავაკავეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

„ნარკოტიკებთან შეხება არ მაქვს, არც კი ვიცოდი, რომ ეს ხდებოდა. მე ფული ჩავდე წარმოებაში, მეგობარი კი ლუდს აკეთებდა, რაღაც რეცეპტი მაქვს, ძველებურიო. მიხაროდა, რომ იყიდებოდა და როცა ლუდის ყველაზე ცნობილი მაგნატები მოვიდნენ, გაყიდვაც მინდოდა, რადგან მივხვდი, არ გაგვახარებდნენ, მაგრამ მეგობარი წინააღმდეგი წავიდა. მისი სიკვდილის ამბავი კი მეც სამართალდამცავებისგან გავიგე, არ ვიცოდი, მკვდარი თუ იყო – სახლში არ დამხვდა და ვეძებდი“, – განაცხადა დაკავებულმა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ტყუოდა, რადგან დედა... ბოშა ჰყავდა და ადვილი მისახვედრი იყო, რომ ბოშების ქსელიც მან ააწყო ნარკოტიკების გასასაღებლად.

გამომძიებლებმა დედა დააკავეს და გოგონებს ანახეს. ორივემ დაბეჯითებით თქვა, სწორედ ეს ბოშა იყო, რომ გადაგვეკიდა, გიმკითხავებთო. ახლა, მთავარი იყო, რომელიმეს ჩვენების მიცემა დაეწყო, მაგრამ ორივე მყარად დუმდა და იმის მიუხედავად, რომ ბიჭს წაუთაქეს (და თან არც თუ ურიგოდ), მეტის თქმას არ აპირებდა და პირველად მიცემულ ჩვენებას იმეორებდა. სამართალდამცავები ბოშების ბარონთან წავიდნენ.

„ბარონს კარგად ვიცნობდი, როცა მივედი, თავი შორს დაიჭირა, მაგრამ ვუთხარი, ქალაქის ნარკომანებს დავიჭერ და თავისუფლების სანაცვლოდ, ვათქმევინებ, ვისგან ყიდულობდნენ იმ ლუდს, სადაც ნარკოტიკები იყო დამალული. ასე, 50-ზე მეტ ბოშას დავაკავებ და თან დიდ „სროკებსაც“ ჩამოვურიგებ-მეთქი. ბარონი დაფიქრდა, ან ერთი ქალი უნდა გაეწირა, ან მართლაც, 50-ზე მეტი ადამიანი. ამიტომ, მშვიდად მითხრა, დაკავებული მანახე და მასთან მარტო დამტოვე, ოღონდ პირობა მომეცი, რომ ოთახში, სადაც ვიქნებით, მოსასმენი არ იქნებაო. პირობა მივეცი და ღმერთის წინაშე ვამბობ, არ გამიტეხია. ბარონი, ყოველგვარი წესების დარღვევით, დაკავებულ ბოშას წინასწარი დაკავების იზოლატორში შევახვედრეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბარონთან საუბრის შემდეგ, ბოშა ქალმა გამომძიებელთან შეხვედრა ითხოვა და დაიწყო:

„ჩემის შვილის მეგობარმა ნარკოტიკების ქსელი აააწყო, უფრო ზუსტად კი, ნარკოტიკები შემოჰქონდა და არ იცოდა, როგორ გაესაღებინა. ლუდის ხარშვა ეხერხებოდა და სწორედ მაშინ განათდა გონება – ლუდის ჩამოსხმა გადავწყვიტეთ, გასაღება კი ჩვენს თავზე ავიღეთ. თავიდან ცელოფანში ვაკეთებდით, მაგრამ წნევის ქვეშ, ცელოფანი იხსნებოდა, მერე მოვიფიქრეთ პლასტმასის ამპულებში ჩაყრა და ისე გასაღება. დიდი ფული დაგვიგროვდა და მან არასწორად დაიწყო გაყოფა. ურთიერთობის გასარკვევად, ჩემთან დავიბარე და იქ მოგვივიდა კონფლიქტი, მაგიდის ფეხით გავუტეხე თავი და მერე, წაქცეულზე კიდევ ვურტყი. არ ვიცოდი, რა უნდა გვექნა გვამისთვის და ბიჭმა მითხრა, გოგოს ვიცნობ, რომლის მამაც გავლენიანია და იმ გოგოს თუ გავხვევთ ამ ამბავში, მამამისი ყველაფერს ჩაფარცხავსო. გოგოებს ფოკუსი მე ჩავუტარე, ქურდობისთვის რამდენჯერმე ვარ ახალგაზრდობაში ნასამართლევი და არ გამჭირვებია ყელსაბამის შეხსნა. მილიციაშიც მე დავრეკე, გოგონა რომ ადგილზე დაეკავებინათ და ყველაფერი ეს გამოვიდა, თუმცა ლუდსახარშის დაცარიელება ვეღარ მოვასწარით, გვამის თრევას დრო უნდოდა და ძალოვნებიც ლუდშახარშში მალე მივიდნენ“...

მართალია, გამომძიებლებს სჯეროდათ, რომ რეალური მკვლელი არა ქალი, არამედ მისი შვილი იყო, მაგრამ ვერ დაამტკიცეს. მაგიდის ფეხი ვერ იპოვეს, სისხლი კი, როგორც ქალის, ისე ბიჭის ტანისამოსზეც იყო. სასამართლომ ბიჭს ნარკოტიკების გასაღებისთვის 10 წელი მისცა, ქალს კი მკვლელობა და ნარკოტიკების გასაღებაში მონაწილეობა 12 წლად შეუფასა.

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ მედიცინა ახალ სიმაღლეებს, პრაქტიკულად, ყოველდღიურად იპყრობს, არსებობს დაავადებები, რომელთა უკუჩვენება თუ მავნე გამოვლინებები დღემდე არ არის შესწავლილი. ისე, მოსახლეობა ხუმრობს, კორონავირუსმა ექიმებს სულზე მოუსწრო, თუ დიაგნოზს ვერ სვამენ, მარტივად ამბობენ, პოსტვირუსული პროცესებია და პაციენტს თავიდან იშორებენო. რეალურად, რას ტოვებს ვერაგი ვირუსი, მართლაც, არავინ იცის, თუმცა ისტორია, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, მაშინ მოხდა, როცა კორონავირუსის არსებობა არავინ იცოდა.

დაცვამ საკუთარი შეფი მოკლა

სისხლიანი სასიყვარულო დრამის დეტალები

„ვარდების რევოლუცია“ ახალი მომხდარი იყო და სათავეში მოსული ახალგაზრდა მმართველები ერთმანეთს კუნთებს (და არა მარტო) აზომებდნენ. ყველა სურდა, საკუთარი უპირატესობა დაემტკიცებინა, ბევრი ზღვარსაც გადადიოდა, ასე განსაჯეთ, ბავშვობის წყენაც კი გაუხსენეს ზოგიერთებს და... ციხეში გაუშვეს. ძალაუფლებას გემო ახალგაზრდებმა ძალიან მალე გაუგეს, თუმცა იმასაც მიხვდნენ, რომ ცხელ გულზე ვიღაცას, შეიძლება, მათთვის ევნო და ამიტომ, დაცვაც დაიქირავეს. რაც უფრო დაკუნთული მცველი გყავდა, მით „მაგარი ტიპი“ იყავი და მომრავლდა ლაწირაკების დაცვით სიარული. ჰოდა, როცა ერთ-ერთი ასეთი ლაწირაკი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს, ხელისუფლების უმაღლეს პირებს პანიკა დაეწყოთ და სასწრაფოდ მოითხოვეს საქმის გამოძიება. ოფიციალურად, ყველაფერი უბედურ შემთხვევას მიაწერეს, მაგრამ ზუსტად იცოდნენ, რომ მათი მეგობარი, რომელიც ერთ-ერთი რეგიონული მუნიციპალიტეტის მეორე პირი იყო, გაგუდული გახლდათ.

„საქმეზე უხალისოდ წავედი, რადგან ზემოდან სავარაუდო და სასურველი დამნაშავეების სახელები და გვარები მითხრეს. მაშინ უკვე ყველამ ვიცოდით, რომ უნდა დაგვეჭირა რეალური დამნაშავე და არ იქნებოდა ურიგო, თუ სხვებსაც მივაყოლებდით, ისეთებს, რომლებიც ახალი ხელისუფლების ლიდერებს არ მოსწონდათ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მას მუნიციპალიტეტში მეორე პირი კი ერქვა, მაგრამ სინამდვილეში, პირველი იყო. როგორც კი ძალაუფლება იგრძნო, პირველი, რაც გააკეთა, ცოლს დაშორდა, თბილისიდან ახალი ცოლი ჩაიყვანა, დაცვაც დედაქალაქიდან დაიქირავა და ცხოვრობდა ბედნიერად. ორი შვილიდან – უფროსი თავისთან ჰყავდა, უმცროსი კი, რომელიც 3 წლის იყო, დედასთან იზრდებოდა. ახალი მეუღლე ფრჩხილებს იკვნეტდა, ეს რა დაგვემართაო, მაგრამ წუხილი დიდად არ ეტყობოდა და ცდილობდა, თბილისიდან ჩასულ რომელიმე მაღალჩინოსანს მოხვედროდა თვალში. როცა მას გამომძიებლებმა ცალკე ოთახში გასვლა სთხოვეს კთხვების დასასმელად, დაცვას გახედა, თითები გაუტკაცუნა და წამომყევიო, უთხრა. სამართალდამცავებს გაეცინათ, დაცვას ანიშნეს, არ შემოხვიდეო, რაზეც მან წინააღმდეგობაც კი გასწია, მე დაცვაში ხელფასს მიხდიანო და სანამ ბორკილების დადებით არ დაემუქრნენ, ვერ გააჩერეს.

„რა უნდა ვთქვა? ჩემი ქმარი ძალიან მიყვარდა, იმიტომ წამოვყევი ამ ბოსელში საცხოვრებლად, მეუბნებოდა, თბილისში მალე დავბრუნდებით, დიდ თანამდებობას მპირდებიანო. გუშინ, ღამე, დასაძინებლად ადრე ავედი, ის რაღაც ფილმს უყურებდა, დილით ჩამოვედი და დივანზე იწვა, ცოტა არაბუნებრივად მეჩვენა, მივედი, ხელი შევახე და ცივი იყო. კინაღამ გული გამისკდა, მკვდარს ცხოვრებაში პირველად შევეხე“, – დაასრულა მოყოლა ქალმა და ბოტოქსიანი ტუჩები „გამობუტა“.

გოგოს ის უფრო აბრაზებდა, რომ ხელი არ ჰქონდა გარდაცვლილთან მოწერილი და შესაბამისად, ყველაფერი პირველ ცოლს რჩებოდა, თუმცა როცა სახლიდან ნივთები გაჰქონდა, ტანისამოსი დაცვის კუთვნილი მანქანის საბარგულში არ ჩაეტია და უკანა სავარძელიც შეავსო. ერთი კი გაიფიქრეს ძალოვნებმა, ეს ქალი არ დაიკარგებაო (არც დაიკარგა, ოთხ თვეში, სხვა ჩინოსნის საცოლედ წარსდგა პრიალა ჟურნალების გარეკანიდან) და დაკითხვა ამჯერად დაცვის წევრს მოუწყვეს.

„ბევრს ვერაფერს გეტყვით. დაცვა სიმბოლურად ვიყავი, არავინ ემუქრებოდა, იმიჯისთვის ვჭირდებოდი, სხვა არაფერი. გუშინ გავეთავისუფლე, თბილისში საქმე მქონდა, ღამით დავურეკე კიდეც, მოვიკითხე, მაგრამ აგდებულად მესაუბრა, 4-5 წამში გამითიშა. დღეს დილით ჩამოვედი და ქალბატონს უკვე დარეკილი ჰქონდა პოლიციაში“, – განაცხადა დაცვის წევრმა და გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ღამით მართლა მისი ნომრიდან დაირეკა და ტელეფონი იმ დროს თბილისში იყო. შედეგად, მკვლელობაში დაცვის შესაძლო მონაწილეობა გამოირიცხა. ახლა საჭირო იყო, ძალოვნებს იმ ეჭვმიტანილთა სია გადაემოწმებინათ, რომელიც მათ ხელისუფლებამ მიაწოდა. ყველას ალიბი ჰქონდა და თან ისეთი, ყველაზე ცოტა, 3-4 კაცი რომ უმოწმებდა, თანაც საინტერესო იყო, რომ მოკლულს ეზოში უზარმაზარი ნაგაზი ჰყავდა, ძაღლმა მკვლელი უხმაუროდ შეუშვა და გაუშვა ანუ მკვლელი არა მარტო მსხვერპლს იცნობდა, არამედ ძაღლსაც.

„მაგ ნაშას მიაქციეთ ყურადღება, დღეში სამჯერ სცემდა ეგ კაცი. ეგებ, მოსწყინდა ამდენი ცემის ატანა და შური იძია“, – უთხრა მეზობლის ქალმა გამომძიებლებს, მაგრამ ამის შესაძლებლობა ექსპერტებმა გამორიცხეს. ჯერ ერთი, გარდაცვლილის სისხლში არ იყო არც ალკოჰოლი, არც ნარკოტიკი და მისი გაბარიტებიდან თუ ვიმსჯელებთ, ის ფიზიკურად მასზე ძლიერ ადამიანს უნდა გაეგუდა, რასაც გოგონა ვერანაირად შეძლებდა. პრაქტიკულად, გამოძიებას ეჭვმიტანილი აღარ შერჩა, ხელისუფლება კი მაგიდაზე მუშტს აბრახუნებდა და ყველას დაჭერით იმუქრებოდა. ძალიან სურდათ, გაეგოთ მკვლელის ვინაობა და მისი სამაგალითოდ დასჯა, რათა შემდეგ სხვას არ გასჩენოდა იგივეს სურვილი ანუ ერთის დასჯით, ათასობით ადამიანს შეაშინებდნენ.

„თბილისში დაბრუნებულმა, იმის გარკვევა შევძელი, რომ დაცვის თანამშრომელი და ის გოგო, თითქოს, ცოლად რომ ჰყავდა გარდაცვლილს, თანაკლასელები იყვნენ. მათ დაკითხვის დროს, ამის შესახებ არაფერი უთქვამთ, მაგრამ ეს დანაშაული არ იყო. ამიტომ, აღარ დავაფრთხე და დავძაბე ზედმეტი კითხვებით, სხვა თანაკლასელები მოვნახეთ და პრაქტიკულად, ყველამ აღიარა, რომ ბიჭი გოგოზე უგონოდ იყო შეყვარებული, მეტიც, ცოლად მოყვანასაც კი აპირებდა, თუმცა გოგო არ გაჰყვა, შემდეგ კი... შემდეგ, ბიჭმაც გადაიფიქრა მისი ცოლად მოყვანა და მხოლოდ მის ახლოს ტრიალით კმაყოფილდებოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

შესაძლებელი იყო, ეს მკვლელობის ძალიან სერიოზული მოტივი გამხდარიყო. საყვარელ ქალს ყოველდღე რომ სცემენ, ძნელი ასატანია და გამოძიება ამ მიმართულებით, უფრო ღრმად წასვლას აპირებდა, თუმცა დაცვის თანამშრომლის ისტორიის შესწავლისას, ერთი დეტალი გაირკვა – წლების წინ, ავარიაში მოჰყვა და მიღებული დაზიანებების შედეგად, სხეულის რამდენიმე ნაწილთან გამოთხოვება მოუხდა. ექიმების დასკვნით, დაცვის თანამშრომელს ქალთან სექსუალური კონტაქტი არ შეეძლო. ეს იმას ნიშნავდა, რომ კაცი ქალს აღარ აწუხებდა და ცოლობას არ სთავაზობდა, მაგრამ... დაცვის თანამშრომელი დაკითხვაზე ისევ დაიბარეს და როცა ავარიასა და ოპერაციაზე დაუსვეს კითხვა, ჩუმად ადგა, ჯერ შარვალი ჩაიხადა, მერე ტრუსი და... გამომძიებლები დარწმუნდნენ, რომ ის, რაც მას ჰქონდა, სრულფასოვნად მოსაშარდადაც კი არ გამოდგებოდა.

„როცა დასაკითხი ოთახიდან გავიდა, ვგრძნობდი, რომ რაღაც შევამჩნიე, მაგრამ ვერ აღვიქვი და თავს ვიმტვრევდი, რა არ მომეწონა. ხომ არის, როცა რაღაცას ხედავ, ხვდები, რომ რიგზე არაა და, უბრალოდ, ვერ აღიქვამ. სწორედ დაცვის თანამშრომლის ნახვის შემდეგ ამეკვიატა ეს ფიქრი და ორი დღე სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი. რომ ვერ გავიხსენე, გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ მენახა და ვითომ შემთხვევით, ქუჩაში შევხვდი, მოვიკითხე და როცა ტელეფონზე დაურეკეს, მაშინვე გონება გამინათდა – ტელეფონი“, – ღიმილით გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამომძიებელმა მაშინვე აღიდგინა, რომ როცა დაცვის თანამშრომელი პირველად რეგიონში ნახა, ხელში ძველებური ტელეფონი ეჭირა, ახლა კი, იმ დროისთვის ბოლო მოდელის მობილურს ატრიალებდა. გამორიცხული იყო, სამსახურდაკარგულს იმდენი დანაზოგი ჰქონოდა, ახალი ტელეფონი ეყიდა. სანამ საკუთარ ვერსიებს ააწყობდა, გამომძიებელმა ქალი დაკითხა და აღიარა, რომ დაცვის თანამშრომელს ახალი, ბოლო მოდელის ტელეფონი გარდაცვლილმა ქმარმა უყიდა, არ მინდა, ძველი ჯართით იაროს ჩემმა დაცვამო. გამოდიოდა, რომ...

გამომძიებლებს საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდათ, რომ დაცვა თბილისში წამოვიდა, თავისი ტელეფონი რომელიმე მეგობარს დაუტოვა, რომელმაც ღამით ზარი განახორციელა, თავად კი უკან იმ ღამესვე დაბრუნდა და შეფი მოკლა. ტელეფონის ლოკაცია ახლიდან შეამოწმეს და იმის მიუხედავად, რომ სატელეფონო ანძა სწორედ დაცვის საცხოვრებელ ბინას აჩვენებდა, ადგილზე მაინც გავიდნენ. დაცვის თანამშრომელი შინ არ იყო და კარი ახალგაზრდა ქალმა გააღო, სამართალდამცავებს ოჯახის მეპატრონის მამიდაშვილად გაეცნო და მკაცრი გაფრთხილების შემდეგ, ტყუილს თუ იტყვი, ციხეში ამოგალპობთო, დაფქვა: „სწორედ იმ დღეს, თავისი ახალი ტელეფონი დამიტოვა, ჩემი ტელეფონის ბარათი თავის ძველ მობილურში ჩადო და მითხრა, რომ კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ნომერზე დამერეკა და რაღაც სისულელე მეკითხა. ასეც მოვიქეცი“...

დაცვის თანამშრომელი ერთ საათში დააკავეს.

„ძნელია, როცა საყვარელ ქალს ყოველდღე სცემენ და თან არ გერიდებიან, შენს თვალწინ აშიშვლებენ, აუპატიურებენ. იმ ურთიერთობას ცოლ-ქმრობა არ ერქვა, ნაშად ჰყავდა ის ქალი, ცხოველურ სურვილებს იკმაყოფილებდა. ვუთხარი კიდეც რამდენჯერმე, დაანებე ამ კაცს თავი-მეთქი, მაგრამ ფულს ვერ შეელია. ბოლოს, როცა სცემდა, ჩემს საძინებელში შემოვარდა, მიშველეო, მაგრამ მაშინ არაფერი მითქვამს, ვიცოდი, პოლიციასთან იტყოდა. მეორე დღეს გავაკეთე ის, რაც გავაკეთე და არ ვნანობ. ექიმთანაც ვიყავი, ამ ქალზე სულ ვეჭვიანობდი და ეს იმის მიუხედავად, რომ მე არაფერი შემეძლო. მითხრეს, ოტელოს სინდრომიაო, მაგრამ მე არც ოტელო ვიცი და არც დეზდემონა, საყვარელ ქალს ვიცავდი“, – განაცხადა დაცვის თანამშრომელმა.

დაკავებულის საჩვენებელი დასჯა აღარ გამოდიოდა, კაცი – ასეთ მდგომარეობაში და თან, მკვლელობის მიზეზი... სასამართლო მაინც უმკაცრესი იყო, 15 წელი მიუსაჯა მკვლელს.

შს მინისტრმა თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა შეხვედრა გამართა თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანთან, ნიკოლ დე მურთან, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით, დელეგაციასთან ერთად იმყოფება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ევროპასთან თავისუფალი მიმოსვლის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

ვახტანგ გომელაურმა სტუმარს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა უვიზო მიმოსვლის წარმატებით გაგრძელების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მიმდინარე რეფორმების თაობაზე.

თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანმა დადებითად შეაფასა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმატებული საქმიანობა ე.წ. გასვლის კონტროლის მექანიზმის ეფექტიანი განხორციელების კუთხით, რაც ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეების მიერ უვიზო მიმოსვლის არაკეთილსინდისიერად გამოყენების პრევენციას. ამასთან, ნიკოლ დე მურმა ხაზი გაუსვა უვიზო მიმოსვლის წარმატებით გაგრძელების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის შესაბამის სააგენტოებს შორის არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა აგრეთვე ისაუბრეს სამართალდაცვით სფეროში საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის არსებულ წარმატებულ თანამშრომლობაზე და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს. ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით პირველად იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, ბელგიის სამეფოს დელეგაცია ასევე ესტუმრება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტსა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტს, ადგილზე გაეცნობა მუშაობის სპეციფიკას და დაათვალიერებს არსებულ ინფრასტრუქტურას.

შს მინისტრის მოადგილემ და თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ და თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანმა, ნიკოლ დე მურმა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები შეაჯამეს.

ალექსანდრე დარახველიძემ ერთობლივი პრესკონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ და თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანმა მიმოიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები და უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ არსებული გამოწვევები, ასევე, მათ საპასუხოდ საქართველოს მთავრობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ზომები.

„ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდგომ, ჩვენი ქვეყნის ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა ამ შესაძლებლობით და მილიონ ნახევარზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენი მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა იცავს იმ წესებს, რაც დადგენილია ამ შეთანხმებით, თუმცა არის გარკვეული გამონაკლისები, როდესაც ხდება გარკვეულ შემთხვევაში ვადების დარღვევა, ასევე, ადგილი აქვს უსაფუძვლოდ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევებს. სწორედ ამ გამოწვევებზე იყო შეხვედრის დროს საუბარი. ჩვენ დავსახეთ გეგმები, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ამ მიმართულებით, ქალბატონ სახელმწიფო მდივანს ასევე გავაცანით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეები ევროპის 19 ქვეყანაში ახორციელებენ თავიანთ მანდატს, ოპერატიულად ვცვლით ინფორმაციებს. ასევე, საქართველოს საზღვრებზე და აეროპორტებში აქტიურად მოქმედებს გასვლის კონტროლის სისტემა, რაც გულისხმობს ევროპაში შესვლისთვის საჭირო დოკუმენტაციის საქართველოს საზღვრებზე შემოწმებას და დღეის მდგომარეობით, უკვე საქართველოს 3000-ზე მეტ მოქალაქეს შეეზღუდა ევროპის ქვეყნებში შესვლა იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ საბუთები წესრიგში.

უკანონო მიგრაცია და თავშესაფრის დაუსაბუთებლად მოთხოვნა არ არის ახალი პრობლემა. აღნიშნული პრობლემის წინაშე ჩვენი ქვეყანაც დგას. ბოლო 8 წლის განმავლობაში, გაათმაგდა საქართველოში უსაფუძვლოდ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევები.

ჩვენ სრულად განვაახლეთ საქართველოს კანონმდებლობა და იგი დაახლოებულია ევროპულ სტანდარტებთან, რათა საქართველომ თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებაში, სწორი და სამართლიანი პოლიტიკა აწარმოოს.

შეხვედრის ფარგლებში, ქალბატონ სახელმწიფო მდივანთან დავსახეთ გეგმები, რა მიმართულებით შეიძლება ვითანამშრომლოთ ორივე სახელმწიფომ იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს ვადის დარღვევის შემთხვევები, ასევე, თავშესაფრის დაუსაბუთებლად მოთხოვნის რაოდენობა“, – განაცხადა ალექსანდრე დარახველიძემ.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს სამართალდაცვით სფეროში ორ ქვეყანას შორის არსებული წარმატებული და ნაყოფიერი თანამშრომლობა. ალექსანდრე დარახველიძემ ასევე ყურადღება გაამახვილა ევროპასთან თავისუფალი მიმოსვლის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

„მინისტრ გომელაურთან მქონდა საკმაოდ ნაყოფიერი შეხვედრა. კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ საქართველოსა და ბელგიას კარგი პარტნიორული ურთიერთობები აქვთ. მოხარულები ვართ, გავუღოთ კარი იმ ქართველებს, რომლებსაც სურთ, ისწავლონ ან იმუშაონ ბელგიაში. ამისთვის კი ჩემს ქვეყანაში სპეციალური პროცედურები და კრიტერიუმები არსებობს.

ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რისთვისაც ჩამოვედი, არის ამ პროცედურების კიდევ უფრო კარგად ახსნა. რაც შევამჩნიე, არის ის, რომ ვრცელდება „ფეიკ ნიუსები“ ბელგიაში მიგრაციასთან დაკავშირებით. არსებობს კანონიერი და არაკანონიერი მიგრაციის გზები და უმნიშვნელოვანესია, რომ ქართველებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია ბელგიაში კანონიერი გზით მიგრაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ ბელგიაში ჩასვლისას არ დახვდეთ უსიამოვნო მოულოდნელობები.

მსურს, სამ ასპექტზე გავამახვილო ყურადღება. პირველი – ქართველების მიერ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევების ძალიან მცირე ნაწილი კმაყოფილდება, რადგან ბელგიამ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანა. მეორე – თავშესაფრის მოთხოვნა არასოდეს კმაყოფილდება ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე. უარყოფითი გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება ძალიან სწრაფად და მათ, რომლებიც კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ, სასწრაფო წესით უნდა დატოვონ ქვეყანა. ისინი, რომლებიც ბელგიას ტურისტულად ეწვევიან, უნდა აკმაყოფილებდნენ შესვლის კრიტერიუმებს და დარჩენა მხოლოდ შეზღუდული დროით შეუძლიათ, ვიზის გარეშე, საზღვართან მოხდება სიღრმისეული შემოწმება.

მესამე – თუ თქვენ გაგაჩერებენ საზღვართან, ან არ გაგაჩნიათ ვიზა, თქვენ ქვეყნის დატოვებას მოგთხოვენ და თუ საჭირო გახდება, იძულებით დაგაბრუნებენ თქვენს ქვეყანაში. ჩვენმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ეფექტიანი პროცედურა, რაც ასევე მოიაზრებს მოგზაურობის აკრძალვას. ბოლო რჩევა, რაც მსურს მოგცეთ, არის ის, რომ საქართველო სწრაფად ვითარდება. მსურს, ვურჩიო ახალგაზრდებს, რომ განაგრძონ შესაძლებლობების მოძიება თავიანთ ქვეყანაში, აქ არსებობს შესაძლებლობები, ბელგიაში ცხოვრება კი ყოველთვის იოლი არ არის. მინდა, მადლობა გადავუხადო ქართულ მხარეს და მინისტრს მიგრაციის საკითხებში ეფექტიანი თანამშრომლობისთვის“, – განაცხადა თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანმა, ნიკოლ დე მურმა.

პრესკონფერენციის ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ, ალექსანდრე დარახველიძემ და ნიკოლ დე მურმა მედიის წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხეს.

საქართველოში რამდენიმედღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანმა, ნიკოლ დე მურმა პრესკონფერენციამდე შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვახტანგ გომელაურთან გამართა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის აქტუალური საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივები დასახეს. შეხვედრაზე ასევე განიხილეს ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები და ამ კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ შემუშავებული მექანიზმები.

დედოფლის სიკვდილმა კვარაცხელიას თამაში გადადო

იტალიური „ნაპოლის“ რიგებში, ჩემპიონთა ლიგაზე, საუცხოო დებიუტი ჰქონდა ხვიჩა კვარაცხელიას. ქართველმა შემტევმა ძალიან კარგად ითამაშა, მისი გუნდის მიერ გატანილი ოთხი გოლიდან, სამში უშუალო მონაწილეობა მიიღო და ლუჩანო სპალეტის შეგირდებმაც „ლივერპული“ ხელის ერთი მოსმით დაამარცხეს, რასაც არავინ ელოდა. მეტიც, მთელი ევროპა საუბრობს, რომ ნეაპოლელები არაიტალიურ ფეხბურთს თამაშობენ, საქმეს შემოქმედებითად უდგებიან და აქცენტს სანახაობაზე აკეთებენ.

სწორედ ამიტომ, ყველა მოუთმენლად ელოდა ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურს – 13 სექტემბერს, „ნაპოლი“ გლაზგოში, „რეინჯერსს“ უნდა შეხვედროდა, თუმცა მატჩი ერთი დღით გადაიდო და 14 სექტემბერს გაიმართება.

„დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალების გამო, მთელი რიგი ღონისძებებია დაგეგმილი და 13 სექტემბერს, გლაზგოში იმდენი რამ იმართება, საფეხბურთო მატჩისთვის ქალაქის მერია საჭირო რაოდენობის სამართალდამცავებს უბრალოდ ვერ გამოყოფს, ამიტომ იძულებულები ვართ, შეხვედრა 14 სექტემბრისთვის გადავიტანოთ“, – წერია გავრცელებულ განცხადებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ „ნაპოლის“ მთავარი ფორვარდი, ოსიმენი დაემტვრა და ის მოედანზე გასვლას მომავალი 5 კვირის განმავლობაში ვერ მოახერხებს, კვარაცხელია აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში იქნება და ეგებ, სპალეტიმ ახლა მაინც შექმნას პრეცენდენტი, რომ ჩვენებური მოედანზე 90 წუთით დატოვოს. შეგახსენებთ, მას შემდეგ, რაც ხვიჩა იტალიურ კლუბში ჩაირიცხა, თავიდან ბოლომდე არცერთი შეხვედრა არ უთამაშია, თუმცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი იმისთვის, რომ „ნაპოლის“ მთავარი ვარსკვლავი გამხდარიყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ ქალაქში, მისი 77-ნომრიანი მაისური, ყველაზე გაყიდვად პროდუქციას შორის ლიდერობს.

სხვათა შორის, აქამდე საიდუმლოებით იყო მოცული კვარაცხელიას კონტრაქტის დეტალები, მაგრამ აგერ, „ნაპოლის“ სპორტულმა დირექტორმა, კრისტიანო ჯენტოლიმ პირი მოაღო და ყველაფერი დაფქვა.

„ხვიჩა ინსინეს შემცვლელად ვიყიდეთ, რომლის ჯამაგირი წელიწადში 9 მილიონი ევრო იყო, კვარაცხელია კი 1.7 მილიონს იღებს, თუმცა გადასახადების გადახდის შემდეგ, ხელზე 1.2 მილიონი, ანუ თვეში 100 ათასი ევრო დარჩება“, – განაცხადა ჯენტოლიმ.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ რამდენიმე იტალიურმა სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, კვარაცხელიას თამაშს მადრიდის „რეალის“ სკაუტები აკვირდებიან და თუ ქართველი ასე გააგრძელებს, მომავალი წლის ზაფხულში, ფლორენტინო პერესი ქართველის გადაბირებას აუცილებლად შეეცდებაო. მანამდე კი, ხვიჩამ აგვისტოს თვის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი ოფიციალურად ჩაიბარა და თუ სეზონის ბოლომდე ასეთი პრიზები კიდევ მოაგროვა, პერესი აუცილებლად დარეკავს.

ბაღიშვილმა გამარჯვებით დაიწყო

ქართველოა მებრძოლმა, სოფია ბაღიშვილმა KSW-ში სადებიუტო ბრძოლა გამართა. ყველა ელოდა, რომ ქართველი მებრძოლი დამარცხდებოდა, რადგან მას მეტოქედ წონის პირველადგილოსანი, ანიტა ბეკუ ჰყავდა, თანაც ბაღიშვილის უპირატესობა დგომში ჩხუბია, ბეკუს კი პირიქით, პარტერი უყვარს.

გამოცდილ მეტოქეს სოფიას პარტერში გადაყვანა არ გასჭირვებია, თუმცა ქართველმა გოგონამ, ყველასთვის მოულოდნელად, მეტოქე მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა და გამარჯვება მოიპოვა.

„ძალიან მიხარია, რომ ეს ბრძოლა მოვიგე. დგომში ჩხუბს ვაპირებდი, თუმცა საბოლოოდ, პარტერში გაგრძელდა. ჩემი წონის ყველაზე ძლიერ მეტოქეს მოვუგე და როცა პირველ ნომერს ამარცხებ, ეს ნიშნავს, რომ ძლიერი ხარ“, – განაცხადა ბაღიშვილმა და... სიხარულისგან გულწრფელად იტირა.

ბაღიშვილს KSW-სთან ხელშეკრულება 18 თვით აქვს გაფორმებული და ამ ხნის განმავლობაში, 4 შეხვედრა უნდა გამართოს. იმ შემთხვევაში, თუ სოფია პირველ სამ ბრძოლას მოიგებს, მეოთხეში აუცილებლად ქამრისთვის იჩხუბებს. დასაწყისი, რომ ვერ ინატრებ, ისეთია.

ზედიზედ მეორედ – დათუნაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. სერბ გულშემატკივარს ყველაზე მეტად მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონის, ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის, ზურაბ დათუნაშვილის ეიმედებოდა და არც შემცდარა – სერბეთის სახელით მოასპარეზე დათუნაშვილმა ყველა მეტოქე ძალიან დამაჯერებლად დაჩაგრა და ოქროს მედალს დაეუფლა. მისი გამარჯვების პატივსაცემად დაკრულ სერბულ ჰიმნს კი მთელი დარბაზი მღეროდა.

სამწუხაროდ, ფინალი წააგო ნუგზარ წურწუმიამ. ფინალში ის აზერბაიჯანელ მეტოქეს შეხვდა და ყველასთვის მოულოდნელად, პირველივე მოეთხედში, 8:0 დამარცხდა ანუ მეტოქემ აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. 12 სექტემბერს, ოქროსთვის ლერი აბულაძე (63 კგ.) იჭიდავებს.

საკალათბურთო მერვედფინალები 94:86 დასრულდა

ერთი შეხედვით, სასაცილოა, მაგრამ 11 სექტემბერს, ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატზე გამართული 4 მერვედფინალური შეხვედრიდან, სამი 94:86 დასრულდა და მხოლოდ საბერძნეთმა და ჩეხეთმა „აურიეს“ – ეს მატჩი ელადელთა გამარჯვებით, 94:88 მორჩა. რაც შეეხება სამ შეხვედრას – პოლონეთმა უკრაინას მოუგო, ფინეთმა – ხორვატიას, იტალიამ კი სერბეთს და ანგარიში უკვე იცით – სამივე შემთხვევაში, 94:86 დაფიქსირდა.

„ასეთი რამ არათუ არ მომხდარა, არამედ, არც არავის უფიქრია, რომ შეიძლებოდა მომხდარიყო. ისე, საბერძნეთს მოგება გარანტირებული ჰქონდა და ჩეხების ადგილზე, ბოლო ორქულიანს აღარ ჩავაგდებდი და საერთო სასწაული მოხდებოდა, ოთხი მერვედფინალი ერთი და იგივე ანგარიშით“, – განაცხადა ევრობასკეტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

შეთქმულების თეორია რომ გამოვრიცხოთ, იმავე 11 სექტემბრის ღამეს, ყველა დიდმა საბუკმეიკერო კანტორამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ ანგარიშზე ფსონი არავის არ ჰქონდა გაკეთებული.

EUROPE: EuroBasket - Play Offs

Finished	Ukraine	86	21	24	22
	Poland	94	24	18	27
Finished	**Finland**	94	20	25	22
	Croatia	86	21	22	22
Finished	Serbia	86	28	23	17
	Italy	94	20	25	21
Finished	**Greece**	94	20	21	22
	Czech Republic	88	20	25	22

მეფე და დედოფალი – პელე ელისაბედ II-ს დაემშვიდობა

ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელე, სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე, დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალებას გამოეხმაურა. 1966 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატი ინგლისში გაიმართა და რა თქმა უნდა, მაშნ თამაშებს ელისაბედ II-ც ესწრებოდა, თუმცა იმ მუნდიალზე, პელემ უმძიმესი ტრავმა მიიღო და მათი შეხვედრა ვერ შედგა. სამაგიეროდ, 2 წლის შემდეგ, დედოფალი ბრაზილიაში ჩავიდა და გადავსებულ „მარაკანაზე“ პელეს ხელი ჩამოართვა.

ცნობისთვის, 1997 წელს, ელისაბედ II-მ პელე რაინდად აკურთხა და ასეთი პატივი სულ ოთხ უცხოელ ფეხბურთელს ხვდა წილად. პელეს გარდა, ელისაბედ II-მ რაინდად ნაილ ქუინსი (ირლანდია), პეტერ შმეიხელი (დანია) და ჯანფრანკო ძოლა (იტალია) აკურთხა. პელეს გარდა, თითოეულ მათგანს ტიტული ინგლისურ ფეხბურთში შეტანილი წვლილისთვის ერგო.

ტოჩინოშინმა გამარჯვებით დაიწყო

იმის მიუხედავად, რომ ასაკისა და ქრონიკული ტრავმის გამო, ფავორიტად აღარ მოიაზრება, ერთადერთი ქართველი სუმოისტი, ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი, კოლეგებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია და იაპონელი გულშემატკივარი მის გამოსვლას მოუთმენლად ელის ხოლმე. აგერ, სექტემბრის ბაშო დაიწყო და ქართველი ისევ საქმეშია.

ლევანი ტურნირზე მერვე მაეგაშირას ტიტულით ჭიდაობს და პირველი ორთაბრძოლა ონოშოსთან გამართა. ტოჩინოშინმა დამაჯერებლად გაიმარჯვა და იმედია, აღნიშნული ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულებას მოახერხებს. რომ არა მუხლის ტრავმა, ლევანს კარიერის განმავლობაში, გაცილებით მეტი შედეგის ჩვენება შეეძლო და ამას იაპონელი ექსპერტებიც აღიარებენ.

ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონტზე... დალევას ითხოვენ

მოგეხსენებათ, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ყატარში, მიმდინარე წლის 20 ნოემბერს დაიწყება და 18 დეკემბერს დასრულდება. ყატარელები მსოფლიოს არნახულ სანახაობას ჰპირდებიან, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ქვეყანაში სერიოზული აკრძალვები იმოქმედებს. მაგალითისთვის, გამორიცხულია, ერთ ნომერში შეუშვან საპირისპირო სქესის წარმომადგენლები, თუ ისინი ქორწინების მოწმობას არ წარადგენენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყატარში ფეხბურთელებს მეგობარ გოგონებთან ურთიერთობის სერიოზული პრობლემა ექნებათ. ახლა კი ირკვევა, რომ არამარტო სასტუმროში, არამედ მთელ ქვეყანაში, ალკოჰოლის მიღების შესაძლებლობა არ იქნება ანუ გულშემატკივრები, მაგარ სასმელზე რომ არაფერი ვთქვათ, ლუდსაც ვერ დალევენ.

„ეს ჩვენი უფლებების დარღვევაა, ასე არ შეიძლება. გამონაკლისი უნდა დაუშვან და დალევის უფლება მოგვცენ“, – როგორ გგონიათ, ამ განცხადებას ვინ გააკეთებდა? ვინ და, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური დირექტორი, ქალბატონი ფლორენსა არდუენი.

როგორც ფრანგული მედია წერს, არდუენი სასმელის დიდი მოყვარულია და იმასაც იხსენებენ, 55 წლის ქალბატონი, 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინასთან მოგებული ფინალის შემდეგ, როგორ სვამდა პირდაპირ ბოთლიდან და როგორ დაარტყა ხელი ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს, როცა მან დალევაზე უარი თქვა. სასმელის გამო, მადმუაზელ ფლორენსა შარში არაერთხელ გახვეულა, მაგრამ ფედერაციაში ამბობენ, პროფესიონალია და ამიტომ არ ვუშვებთ სამსახურიდანო.

რატომ სჯობს თურქეთში დასვენება ბათუმს

ეია გრიგალაშვილი

ზაფხული თითქმის ყველასთვის საყვარელი სეზონია, რომელიც სანატრელ შვებულებასა და დასვენებას უკავშირდება. ზოგიერთი ადამიანი, რამდენიმე თვით ადრე გეგმავს, თუ როგორ გაატარებს ზაფხულის არდადეგებს. დაგეგმვა კი არცთუ მარტივია, როდესაც ბინის/სასტუმროს პოვნა და სხვადასხვა ხარჯის გათვალისწინება გიწევს. მართალია, ჩვენი ქვეყანა კურორტების ნაკლებობას არ უჩივის და ამ მხრივ განებივრებულები ვართ, მაგრამ საქართველოში დასვენება საკმაოდ ძვირია. ზოგ შემთხვევაში, იმდენად ძვირი, რომ იმავე თანხით შესაძლებელია, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება. მეც გადავწყვიტე, ექსპერიმენტი ჩამეტარებინა, პირველ რიგში, უცხო ქვეყნის საზღვაო კურორტზე გავემგზავრე, შემდეგ კი საქართველოში, ბათუმისკენ ავიღე გეზი. ალბათ, ბევრს აინტერესებს, სიმართლეა თუ არა, რომ საზღვარგარეთ მიღებული მომსახურება და სიამოვნება ბევრად უკეთესია. ამიტომ, ჩემს წლევანდელ გამოცდილებასა და შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ.

საშინელი ანტისანიტარია და მომსახურება – ბათუმური შვებულების კოშმარი

შვებულების ადრიანად დაგეგმვა ყოველთვის მიჭირს, რადგან ოჯახის წევრების – ჩემი თანამგზავრების საქმიანობის გათვალისწინება მიწევს. წელს, შვებულების თარიღის დასახელებიდან მის დაწყებამდე, სამი კვირა იყო დარჩენილი, ამიტომ სასწრაფოდ უნდა გადამეწყვიტა, სად გავატარებდი დროს. საბოლოოდ, არჩევანი მაინც ზღვის კურორტზე შევაჩერე. ბავშვობიდან მოყოლებული, ჩემთვის ზაფხული ზღვაზე დასვენებისა და ბათუმის გარეშე, წარმოუდგენელი იყო, თუმცა მეც და ოჯახის წევრებსაც სიახლე და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა გვინდოდა. გადავწყვიტეთ, თურქეთზე, კერძოდ კი, ალანიაზე შეგვეჩერებინა არჩევანი. ნაცნობებისგან ვიცოდით, რომ ლამაზი ქალაქია, ასევე, ინტერნეტში ინფორმაცია მოვიძიეთ და საკმაოდ მოვიხიბლეთ. სასწრაფოდ დავჯავშნეთ ავტობუსის ბილეთები, რადგან სამ კვირაზე ნაკლები იყო დარჩენილი და ფრენა ძალიან ძვირი ჯდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გვითხრეს, 27 საათი მოგვიწევდა მგზავრობა, არ დავნებდით. ბილეთი თითო ადამიანზე, ერთი გზა – 200 ლარი დაჯდა. შემდეგ ტურ-ოპერატორის დახმარებით, სასტუმროს ძებნას შევუდექით, სამწუხაროდ, არჩევანი დიდი არ იყო, რადგან ყველას ადრიანად ჰქონდა დაჯავშნილი, თანაც წელს, როგორც საქართველოში, ისე თურქეთში, ოთხჯერ მეტი რუსი და უკრაინელი ტურისტი იყო, ვიდრე წინა წლებში.

შვებულების დაწყებიდან ორი კვირით ადრე, სასტუმრო ავარჩიეთ და დავჯავშნეთ. თურქეთში მოგზაურობა შაბათს, 9 ივლისს დაიწყო. დილის 10.00 საათზე, ორთაჭალის ავტოსადგურში გამოვცხადდით და ავტობუსში ჩვენი ადგილები დავიკავეთ. საკმაოდ კომფორტულად ვიმგზავრეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯამში, 30 საათი დაგვჭირდა. ავტობუსი ყოველ სამ საათში აჩერებდა, სარფის საბაჟოც სწრაფად და უპრობლემოდ გავიარეთ. მთელი გზა მშვიდად მივდიოდით, ძალიან მოწესრიგებული მოძრაობა იყო გზაზე. ფანჯრიდან ულამაზესი ხედები იშლებოდა, ყველა სოფელში დამუშავებული, მოვლილი, თვალუწვდენელი მინდვრები და კოხტა სახლები ჩანდა.

კვირას, საღამოს, უკვე სასტუმროში ვიყავით. სასტუმრო იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა. როგორც გავიგეთ, ორი ათასზე მეტი დამსვენებელი ჰყავდათ. შესვლისთანავე, მიმღებში გაგვაფორმეს, სასტუმროს სამაჯურები ხელზე გაგვიკეთეს, ბედნიერი დასვენება გვისურვეს და ოთახებში გაგვანაწილეს. ნომრები სუფთა, მოწესრიგებული და კომფორტული იყო – საკუთარი აბაზანით, კარადაში პატარა მაცივრითა და კონდიცირებით. პერსონალმა ყველა დეტალი აგვიხსნა, რისი ცოდნაც სასტუმროში ყოფნისას დაგვჭირდებოდა.

ბარგი დავალაგეთ და დაღლილები სამზარეულოსკენ გავეშურეთ, რომელიც უზარმაზარი აღმოჩნდა, თითქმის ყველაფერი ჰქონდათ, რაც კი შეიძლებოდა, ადამიანს ენატრა – ყველა ტიპის საკვები და სასმელი, ე.წ. შვედური მაგიდის გარდა, თურქული ტკბილეული, საკვები, ასევე, იტალიური კერძები. დაბნეულებმა აღარ ვიცოდით, რა გაგვესინჯა. სამზარეულო ქვედა სართულზე იყო, საიდანაც ეზოში გავდიოდით, სასტუმროს უზარმაზარი აუზი ჰქონდა, ცალკე იყო ბავშვებისთვისაც. იქვე იყო ბარი, სადაც უფასო სასმელებსა და ნაყინს გვთავაზობდნენ. შუადღეს, სპეციალური გასართობი პროგრამა იწყებოდა.

აუზი ძალიან სუფთა და მოწესრიგებული ჩანდა, რამდენჯერმე ვიცურავეთ, თუმცა მაინც ზღვაზე გასვლას ვამჯობინებდით. სასტუმროს იზოლირებული პლაჟი ფეხით ორი წუთის სავალზეა. საკუთარი შეზღონგებითა და ბარით, სადაც ასევე, უფასოა გამაგრილებელი სასმელები. ზღვა საოცრად სუფთა და ლამაზია. პლაჟზე, მაქსიმუმ, ორი-სამი საათით, შეიძლება გაჩერდეთ, რადგან წყალი იმდენად მარილიანია, სიცხეში, ზღვის მარილი ტანზე შეშრობისას „იკბინება“ და ცოტა არასასიამოვნოა, თუმცა დიდი პლუსი ის აქვს, რომ ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა და ძალიან სწრაფადაც ირუჯები.

მესამე დღეს, ვისარგებლეთ სასტუმროს სპა-სალონის სპეციალური პაკეტით, რომელიც 35 აშშ დოლარი ღირს. აღნიშნულ მომსახურებაში შედიოდა სახისა და ტანის მასაჟი, თურქული აბაზანა და საუნა. ძალიან სასიამოვნო იყო ყველა პროცედურა, განსაკუთრებით, თურქული აბაზანა. აქვე, ქვედა სართულზე ფუნქციონირებდა გასართობი – სათამაშო სივრცე ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სასტუმრო ოთხვარსკვლავიანია და თანაც, დიდი ხნის აშენებული, არაჩვეულებრივი მომსახურება ჰქონდათ. ის ალანიიდან 15 კილომეტრში მდებარეობს, კერძოდ, კონაკლის დასახლებაში, სადაც, ძირითადად, სასტუმროებია გაშენებული. იქვე იყო სხვადასხვა სავაჭრო ობიექტი და მოლი. ერთ-ერთ საღამოს, გასეირნებისას, იქ მცხოვრები ქართველი მამაკაცი გავიცანით, რომელიც ექსკურსიის ტურებს ჰყიდდა. ჩვენც, რა თქმა უნდა, უცხო მიწაზე ქართველის დანახვით აღფრთოვანებულებმა, შთაბეჭდილებები გავუზიარეთ. როგორც თანამემამულეებს, ფასდაკლებით – 15 აშშ დოლარად შემოგვთავაზა გემის ექსკურსია-ტური, რომელიც ტურისტებისთვის 35 აშშ დოლარი ღირდა. დავთანხმდით, შევიძინეთ და მართლაც, ძალიან ვისიამოვნეთ.

დილის 10.00 საათზე, ტრანსპორტმა მოგვაკითხა, მიგვიყვანეს პორტში, საიდანაც გემზე ავედით. აქედან დაიწყო ულამაზესი სანახაობა, ტური საღამოს 17.00 საათამდე გაგრძელდა, რომელშიც უფასო სადილი შედიოდა. ზღვიდან იშლებოდა ქალაქისა და პლაჟების საოცარი ხედები, ჰქონდათ კარგი გასართობი პროგრამა. რამდენჯერმე გავჩერდით კიდეც, შუა ზღვაში საცურაოდ, 17.00 საათზე კი ნაპირს მივუახლოვდით, სადაც იგივე მიკროავტობუსი დაგვხვდა და სასტუმროში დაგვაბრუნა. თუ ალანიაში მოგზაურობას დაგეგმავთ, გემის ექსკურია-ტურით, მართლაც, ძალიან ისიამოვნებთ.

დასასრული მე-16 გვერდზე

რატომ სჯობს თურქეთში დასვენება ბათუმს

მე-15 გვერდიდან

მეხუთე დღეს, ქალაქში გასეირნება და „შოპინგი“ გადავწვიტეთ. ცენტრალური გზა ზედ სასტუმროსთანაა და ავტობუსები ქალაქის მიმართულებით ყოველ 15 წუთში დადიან. მგზავრობა 1 აშშ დოლარი ღირს. 10-15 წუთში, ალანიას ცენტრში აღმოჩნდებით. მარკეტებში საკვები ძალიან იაფია, ასევე, ბუტიკებსა და ბრენდულ მაღაზიებში, ტანისამოსსა თუ ფეხსაცმელს ბევრად უფრო იაფად შეიძენთ, ვიდრე საქართველოში.

დეტალურად კიდევ ბევრი რამაა მოსაყოლი, თუმცა შორს წაგვიყვანს. საბოლოოდ, ჩემი მოგზაურობა რომ შევაჯამო, არაჩვეულებრივად დავისვენე და გავერთე, ვნახე ულამაზესი ადგილები და მივიღე უმაღლესი ხარისხის მომსახურება ყველა მიმართულებით. ასე დასრულდა ჩემი პირველი, ერთკვირიანი შვებულება თურქეთში.

* * *

აგვისტოში კიდევ ერთი, ერთკვირიანი შვებულება მქონდა და გადავწყვიტე, ამჯერად საქართველოში დამესვენა. მთის კურორტზე წასვლას, ისევ ზღვა ვამჯობინე. არჩევანი კი, როგორც ყოველთვის, ბათუმზე შევაჩერე, რადგან ჩემთვის ძალიან საყვარელი ქალაქია, რომელიც ტკბილ მოგონებებსა და ბედნიერ დღეებს უკავშირდება.

სასტუმროების ნომრის ფასები კოლოსალური აღმოჩნდა, თანაც კვების გარეშე, ამიტომ კორპუსის ბინის ძებნა დავიწყე. ორი კვირით ადრე, უძრავი ქონების პლატფორმებზე, თითქმის ყველა განცხადება ვნახე, თუმცა არჩევანი ძალიან ცოტა და არცთუ კარგი იყო. როგორც ამბობდნენ, ყველაფერი ეს, დიდი რაოდენობით, რუსებისა და უკრაინელების ვიზიტმა განაპირობა. ფასები საკმაოდ მაღალია. ყველაზე იაფად, 80 ლარად შემხვდა საშუალო ან დაბალი დონის ბინები, სადაც ორი, მაქსიმუმ, სამი ადამიანი თუ დაეტეოდა. შედარებით ნორმალური აპარტამენტების ფასი 130 ლარიდან იწყებოდა. როგორც იქნა, ერთ-ერთ ბინას გადავაწყდი, რომელიც კარგად გამოიყურებოდა და მფლობელი ღამეში 80 ლარს ითხოვდა. ბინაში იყო პატარა საძინებელი და სტუდიოს ტიპის სამზრეულო – მისაღებში, სადაც გასაშლელი დივანი იდგა. ამიტომ, ბევრი არ მიფიქრია, მაშინვე დავჯავშნე და ავანსის სახით, მფლობელს წინასწარ 50 ლარი გადავურიცხე.

14 აგვისტოს, კვირას, საკუთარი მანქანით ბათუმში გავემგზავრეთ. 19.00 საათისთვის, უკვე კორპუსთან ვიყავით. ბინა სასტუმრო „კოლეზეუმთან“ ახლოს, პირველ ზოლში მდებარეობს, „ორბის“ კორპუსების გვერდით. როგორც აღმოჩნდა, კორპუსი ცხრასართულიანი ყოფილა და მეათე სართული დაშენებული ჰქონია. აბარგება რომ დავიწყეთ, ლიფტი მხოლოდ მეცხრემდე ავიდა და ის ერთი სართული ფეხით ავიარეთ. ამაზე წინასწარ მეპატრონეს არ გავუფრთხილებივართ. დადგა ბინის ჩაბარების მომენტიც, შესვლისთანავე, აუტანელი სიგარეტის სუნი და უჰაერობა ვიგრძენით. მალევე, გასაღები ჩავიბარეთ და მეპატრონის ქალიშვილი გამოგვემშვიდობა. გადაღლილები დივანზე დავსხედით და დავიწყეთ ბინის დათვალიერება, 10 წუთის მანძილზე, ხუთმა კოღომ მაინც მიკბინა. ერთი შეხედვით, ბინა დალაგებული ჩანდა, თუმცა ჭუჭყი თითქოს ყველაფერში იყო გამჯდარი, აუტანელი სიბინძურე და უჰაერობა სუფევდა. ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ მივხვდით, რომ იქ ვერ ვიცხოვრებდით, თუნდაც 6 დღე. მეპატრონეს დავურეკეთ და ყველაფერი ავუხსენით, თუმცა აქეთ გაგვლანძღა, ცოტა ხნის წინ, თავად დავალაგე ყველაფერიო. სხვა გზა არ იყო, გარდა იმისა, რომ ბინა დაგვეტოვებინა. ამდენი ბარგი ტანჯვით დავაბრუნეთ მანქანაში. ამასობაში, 22.00 საათიც გახდა. დაღლილებმა და გაღიზიანებულებმა, ახალი ბინის ძებნა დავიწყეთ, ბევრგან დავრეკეთ, მაგრამ ყველა გვეუბნებოდა, რომ თავისუფალი ბინა არ ჰქონდათ, ზოგი ირონიულადაც კი მოგვმართავდა, წელს ბათუმში იმდენი დამსვენებელია, ტყუილად ეძებთ, მაინც ვერ იპოვითო. ღამის პირველ საათამდე უშედეგო ძებნის შემდეგ, ისღა დაგვრჩენოდა, მანქანაში გაგვეთენებინა. კოშმარივით მახსენდება, ოთხნი ვიყავით და ორმა ძლივს დაიძინა, ცოტა ხნით. მანქანაში უამრავი კოღო შემოფრინდა. ბათუმს არ ეძინა, ქალაქში ღამის ცხოვრება ჩქეფდა. ჩვენ კი დატანჯულებს, ერთი სული გვქონდა, როდის გათენდებოდა. დილით, სანამ კვლავ განცხადებების დათვალიერებას შევუდგებოდით, ახლომდებარე ტერიტორიაზე ხალხი გამოვკითხეთ, ვინმეს თავისუფალი ბინა ხომ არ ჰქონდა. უცებ ერთი ვარიანტი გამოჩნდა და ბინის სანახავად მიგვიყვანეს, ღამეში 170 ლარად. ბინა ახალაშენებულ კორპუსში იყო, პირველ ზოლში, სადაც შედარებით ნორმალური სიტუაცია დაგვხვდა, თუმცა ამის მიუხედავად, სისუფთავის პრობლემა ამ ბინაშიც იგრძნობოდა. გამქირავებელს ვუთხარით, რომ მოვიფიქრებდით და დავუკავშირდებოდით. ისევ მანქანაში დავბრუნდით და ბათუმელ ნაცნობს დავურეკეთ დახმარების სათხოვნელად. ჩვენი ისტორია რომ მოისმინა, ძალიან შეწუხდა და დაგვპირდა, რომ ყველგან გაიკითხავდა, ჰქონდა თუ არა ვინმეს თავისუფალი ბინა. მართლაც, ნახევარ საათში დაგვირეკა, ბევრი წვალების შემდეგ, ბინა აგენტის მეშვეობით უნახავს. ვთხოვეთ, ფოტოები გადმოეგზავნათ „ვოთსაპზე“ და მხოლოდ შემდეგ გადაწყვეტდით, გვენახა თუ არა. მალევე გადმოგვიგზავნეს, მოგვეწონა და სანახავად წავედით. მართლაც, მშვენიერი ბინა აღმოჩნდა, რაც მთავარია, სუფთა, დამლაგებელიც კი ადგილზე დაგვხვდა. სტუდიოს ტიპის საცხოვრებელი, ერთი საძინებლით, ახალაშენებულ კორპუსში, ძველ ბათუმში, სასტუმრო „შერატონის“ გადასწვრივ, ზღვიდან 7-10 წუთის სავალზე. საბოლოოდ, ამ ბინაში დავრჩით, უზომოდ განერვიულებულები ვიყავით, მაგრამ ხასიათი არ გავიფუჭეთ და იმ საღამოსვე ზღვისკენ გავეშურეთ.

პლაჟი საკმაოდ დაბინძურებული დაგვხვდა – პლასტმასის ჭიქები, ბოთლები, სიგარეტის ყუთები და მორჩენილი საკვები მთელ პლაჟზე იყო მიმოფანტული. ქალაქში უამრავი ადამიანი გადაადგილდებოდა, განსაკუთრებით, რუსულ-უკრაინული წარმოშობის. სიმინდი ყველგან 5.00 ლარი ღირდა, მხოლოდ ერთ ადგილზე ჰყიდდა ახალგაზრდა გოგონა 3.00 ლარად, ამიტომ მასთან ვყიდულობდით.

ექვსი დღე გავატარეთ ბათუმში და აქედან ყოველდღე, მინიმუმ, ერთხელ მაინც ვიკვებებოდით რესტორანში ან კაფეში. ფასები ყველგან ძალიან მაღალი იყო. ერთი სტანდარტული აჭარული ხაჭაპური 14.00დან 18.00 ლარამდე ღირს, ისიც ზოგან უგემური იყო, სერვისი კი – საშინელი. თითქმის ყველგან პრიორიტეტს უცხოელი დამსვენებლები წარმოადგენდნენ – ჯერ მათ ემსახურებოდნენ, შემდეგ ქართველებს. შეკვეთას დიდხანს უნდა ველოდით, ზოგჯერ საერთოდ არც იღებდნენ, სანამ რომელიმე მიმტანს ან მენეჯერს არ შევაწუხებდით. ქართველების მიმართ არ იჩენდნენ დიდ ყურადღებას და უჟმური სახით გვემსახურებოდნენ. საკვებიც საშუალო ან საშუალოზე დაბალი ხარისხის მოჰქონდათ. უცნაურია, აჭარული ხაჭაპურის კუთხეში, სულ რამდენიმე ადგილას თუ დააგემოვნებთ ნორმალურ აჭარულს. ორ ობიექტზე იმდენად ცუდი მომსახურება ან კერძი მივიღეთ, მენეჯერთან ვიკამათეთ კიდეც. გამონაკლისი იყო საკონდიტრო-კაფეები, დესერტები ბათუმში საკმაოდ გემრიელი აქვთ, ფასი – არცთუ მაღალი. ექვსი დღის მანძილზე, უამრავ უსიამოვნო სიტუაციაში აღმოვჩნდით, თან ისე, რომ ჩვენი ბრალი არც იყო. მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიურ განწყობას ვინარჩუნებდით, ძალიან უკმაყოფილო წამოვედი.

თურქეთში, შვიდდღიანი არაჩვეულებრივი მოგზაურობა ერთ ადამიანს, ჯამში, 1000 ლარი დაუჯდება, თანაც გზის, სასტუმროსა და ულიმიტო კვების ჩათვლით. ბათუმში, ექვს დღეში, თითქმის იგივე თანხა დავხარჯეთ, მაგრამ თითქმის არსად კარგი მომსახურება არ მიგვიღია.

სამწუხაროა, რომ შენს ქვეყანაში პრიორიტეტი უცხო ქვეყნის მოქალაქე ხდება და ცუდ მომსახურებას იღებ. არადა, ყველამ იცის, რომ შიდა ტურიზმის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. წესით, ქართველებისთვის საკუთარ ქვეყანაში დასვენება საკმაოდ სასიამოვნო და მომგებიანი უნდა იყოს, თანაც მაშინ, როდესაც უამრავი სანახაობრივი ადგილი გვაქვს და წლის ნებისმიერ სეზონზე, ბუნება შესაბამის საკურორტო ლოკაციას გვთავაზობს. რა თქმა უნდა, ეს ყველა სასტუმროს ან კვების ობიექტს არ ეხება, საბედნიეროდ, მომსახურების ისეთი ობიექტებიც გვაქვს, სადაც შესანიშნავად გაატარებთ დროს.

პიკის საათს საუზმით შეებრძოლებიან

ამომავალი მზის ქვეყანა ცნობილია თავისი პიკის საათებით მეტროში: აქ სპეციალური ადამიანებიც ჰყავთ, რომლებიც ხალხმრავლობის დროს, მგზავრებს ვაგონებში „ტენიან“. თუმცა, შესაძლოა, ეს მდგომარეობა მალე შეიცვალოს: ტოკიოს მეტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ყველაზე ადრიან მგზავრებს უფასო საუზმე დაურიგოს. თანაც, რაც მეტი მგზავრი იქნება ადრიანად, მით უფრო დიდ პორციებს გასცემენ. ამ კამპანიას საწარმოთა ხელმძღვანელებიც უერთდებიან და საკუთარ თანამშრომლებს მოუწოდებენ, რაც შეიძლება ადრე მივიდნენ სამსახურში, ანდა სახლიდან შეასრულონ სამუშაო. ძირითადი პიკის საათი იაპონიის დედაქალაქის მიწისქვეშა ტრანსპორტში დილის 7:50-დან 8:50 საათამდეა. ამ პერიოდში ზოგიერთი სადგური 76 ათას მგზავრს ატარებს, რაც გათვლილ რაოდენობაზე ორჯერ მეტია.

ხორცპროდუქტები კიბოს იწვევს?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პლანეტის მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ლორის, ძეხვეულისა და ხორცის სხვა დამუშავებული პროდუქტების მოხმარება, სიმსივნის პოვოცირების თვალსაზრისით, ისეთივე საშიშია, როგორც თამბაქო. თავის მხრივ, ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კვირაში მხოლოდ 4 პორცია ხორცის ნაწარმის მიღება, 40%-ით ზრდის კიბოს განვითარების რისკს. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ხორცში არსებული ნაერთები აზიანებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის უჯრედების დნმ-ს, რის შედეგადაც სიმსივნე ვითარდება. გარდა ამისა, დამუშავებული პროდუქტები სხვა მხრივაც საშიშია. დამუშავების პროცესში ცდილობენ, მათი შენახვის ვადა მაქსიმალურად გაზარდონ. ამისთვის ხორცს ბოლავენ, უმატებენ მარილს, ნიტრატებსა და ნიტრიტების მსგავს ქიმიურ კონსერვანტებს. ზოგიერთი ექსპერტი კი სიმსივნური დაავადებების მომატებულ რისკს, სწორედ ხორცპროდუქტებში არსებულ დანამატებს უკავშირებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ახალ ხორცს ნაკლებად საშიშ პოზიციას ანიჭებს და მას „შესაძლო კანცეროგენის“ სტატუსს ანიჭებს. თუმცა, მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ ხორცი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, რადგან მასში ბევრი ცილა, რკინა, „ბე-12“ ვიტამინია, რაც აუცილებელია ჩვენი ორგანიზმისთვის.

აბებს სიმინდი შეცვლის

აშშ-ის ილინოისის უნივერსიტეტის სწავლულებმა იისფერი სიმინდის ახალი ჰიბრიდები წარადგინეს, რომლებიც ნაერთების სხვადასხვა კომბინაციებს შეიცავენ და შეძლებენ გაუმკლავდნენ სიმსუქნეს, ანთებასა და დიაბეტს. სიმინდის Apache Red ჯიშისგან მკვლევარებმა გენეტიკურად განსხვავებული 20 ახალი ვარიანტი გამოიყვანეს, რომელთაგან თითოეულს ანტოციანების უნიკალური კომბინაცია აქვს. ანტოციანები ფენოლების კლასის ნატურალური პიგმენტებია, რაც სიმინდის კაშკაშა იისფერს განაპირობებს. როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენა, ახალი სიმინდის მიღებული ანტოციანების ექსტრაქტები ცხიმოვანი და იმუნური უჯრედების განვითარებას ცვლის.

კოფეინი მხედველობას იცავს

ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერები აცხადებენ, რომ კოფეინის მოხმარება აუმჯობესებს თვალის უნარს, ცრემლი გამოიმუშავოს. სპეციალისტების თქმით, მათი აღმოჩენა საშუალებას მისცემთ, დაიხვეწოს ეგრეთ წოდებული, „მშრალი თვალის“ სინდრომის მკურნალობის მეთოდიკა. სინდრომს (ცრემლის აპკი შრება და ვერ ასწრებს აღდგენას) თან ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, წვა, ქავილი, სიმშრალე, შუქის შიში, თვალის სწრაფი დაღლა. იაპონელ სწავლულთა კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც კოფეინსა და პლაცებოს იღებდნენ. შედეგად, ვინც კოფეინს იღებდა, მათ მნიშვნელოვნად გაეზარდათ ცრემლის გამომუშავება. მკვლევარები აცხადებენ, რომ კოფეინის მიღებას მხოლოდ იმ პაციენტებს ურჩევენ, რომლებიც შედარებით მგრძნობიარენი არიან ამ ნივთიერების მასტიმულირებელი ეფექტების მიმართ. „მშრალი თვალის“ სინდრომის არსებობისას კი, სწავლულები გვირჩევენ, აუცილებლად სპეციალისტს მივმართოთ.

ბებიების გაქირავება დაიწყეს

შინაურ საჭმელს არაფერი შეედრება, თანაც თუ ის საყვარელი ბებიის მიერაა დამზადებული. თუმცა, სამწუხაროდ, თანამედროვე ბავშვები ხშირად მოკლებულნი არიან ამ სიამოვნებას, რადგან შორს ცხოვრობენ ბებიებისგან. ამით ისარგებლა ერთმა პარიზულმა კომპანიამ Lou Papé და ბებიების „შეკვეთის“ სამსახური აამოქმედა. აქ დასაქმებულ ქალბატონებს არ აქვთ სპეციალური განათლება, მაგრამ კარგად ამზადებენ მარტივ, ტრადიციულ კერძებს. გარდა საჭმლის კეთებისა, მოწვეული ბებია ოჯახის საქმიან წევრებს ბავშვებთან უერთიერთობის შეუფასებელ გამოცდილებას სძენს: ასწავლის მათ მაღაზიაში პროდუქტების არჩევასა და კერძების მომზადებას, უყვება ზღაპრებს, როგორც ადრე, ძველ დროში. კომპანიის შტატში უკვე რამდენიმე ათეული კულინარი ბებიაა. ყოველ მათგანს განსაზღვრული სპეციალიზაცია აქვს – მარტივი დესერტებიდან 4 კერძისგან შემდგარ სადილებამდე. მათი სამსახურიც, შესაბამისად, სხვადასხვა ფასი ღირს: საათში 12-დან 42 ევრომდე.

ყველაზე „მოღალატე“ ქვეყნები გამოავლინეს

პრეზერვატივების მწარმოებელმა კომპანია Durex-მა ყველაზე მოღალატე ერების რეიტინგი შეადგინა. გამოკვლევა Sexual Wellbeing Global Survey არა მხოლოდ ღალატის თემას ეხებოდა, არამედ, სექსსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. სიის ლიდერი ტაილანდი აღმოჩნდა, რომლის მცხოვრებთა 56% საკუთარ პარტნიორს ღალატობს. კვლევაში აღნიშნულია, რომ ტაილანდში ბევრ ცოლ-ქმარს „უწესრიგო“ სქესობრივი კავშირი აქვს. კომპანიის გამოკითხვაში მონაწილეობა 26 ქვეყნის წარმომადგენელმა 26 ათასმა ადამიანმა მიიღო ანუ ყოველ ქვეყანაში, 1000 ადამიანი გამოიკითხა. ისიც გაირკვა, რომ საფრანგეთსა და გერმანიაში, ადამიანების უმრავლესობა ღალატს „ეგუება“ და არ განიხილავენ მას, როგორც ურთიერთობების გაწყვეტის მიზეზს. ყველაზე „მოღალატე“ ქვეყნების ტოპ-ათეული კი ასე გამოიყურება: ტაილანდი – 56%, დანია – 46%, იტალია – 45%, გერმანია – 45%, საფრანგეთი – 43%, ნორვეგია – 41%, ბელგია – 40%, ესპანეთი – 39%, დიდი ბრიტანეთი – 36%, ფინეთი – 365%.

პაციენტს ჯანმრთელი თირკმელი ამოაჭრეს

აშშ-ში, ველინგტონის რეგიონულ სამედიცინო ცენტრში, პაციენტს ჯანმრთელი თირკმელი ამოაჭრეს, რომელიც ქირურგს სიმსივნე ეგონა. მორინ პაჩეკო ზურგზე იკეთებდა ოპერაციას, თუმცა ნარკოზიდან გამოსულმა შეიტყო, რომ ჯანმრთელი ორგანოს გარეშე დარჩა. აღმოჩნდა, რომ პაციენტს თანდაყოლილი ანომალია ჰქონდა – მისი ცალი თირკმელი მენჯის მიდამოში მდებარეობდა. ფლორიდელმა ქირურგმა, რამონ ვასკესმა მიიჩნია, რომ ეს სიმსივნური წარმონაქმნი იყო და ავადმყოფთან შეუთანხმებლად, ამოკვეთა. მოგვიანებით, ქირურგმა განაცხადა, რომ პაციენტის სამედიცინო ისტორია წინასწარ წაკითხული არ ჰქონდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ექიმი 3 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ის თანახმაა, ჯარიმა გადაიხადოს და წარუმატებელი ოპერაციის თაობაზე, კოლეგებთან ერთსაათიანი ლექციაც ჩაატაროს. ცნობილია, რომ ვასკესი პაჩეკოს ოპერაციაში დამხმარე ქირურგის რანგში მონაწილეობდა, მთავარი ქირურგები კი, ჯარიმის სახით, 250-250 ათას დოლარს გადაიხდიან.

ჰიგიენური ტუჩსაცხი საშიშია?

ფრანგმა სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ჰიგიენური ტუჩსაცხის მოხმარება საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. მათ ტუჩის ბალზამების 21 ნიმუში შეამოწმეს, მათ შორის, კოსმეტიკური ბრენდებისაც. თითქმის ნახევარში მკვლევარებმა კანცეროგენული ნივთიერებები აღმოაჩინეს. აღმოჩნდა, რომ ტუჩსაცხების ზოგიერთ სახეობებში მინერალური ზეთებია ნაჯერი ნახშირწყლებით, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას, ლიმფური კვანძების ან ღვიძლის ანთებას იწვევენ. ეს კი საშიშია, რადგან მცირე რაოდენობით ტუჩსაცხის უნებლიედ გადაყლაპვა ჯანრთელობას საკმაოდ აზიანებს. ფრანგი სწავლულების ექსპერიმენტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის უდიდესი ჯგუფის დაკვეთით ჩატარდა.

მერის არჩევნებში ძმები დაუპირისპირდებიან

კანადაში, ონტარიოს პროვინციაში მდებარე ქალაქ პორტ-კოლბორნის ერის არჩევნებში, ერთმანეთს ღვიძლი ძმები დაუპირისპირდებიან. როგორც New York Post-ი წერს, ჩარლზ და ბილ სტილები, რომლებიც ერთმანეთს უკვე 30 წელია, არ ელაპარაკებიან, ქალაქის თავის პოსტისთვის იბრძოლებენ. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან, პორტ-კოლბორნის მერი ერთ-ერთი ძმა – ბენ სტილია, მანამდე, 17 წლის განმავლობაში, ის ქალაქის საბჭოში მუშაობდა. მოახლოებულ არჩევნებზე, ერთადერთი კანდიდატი ბენი იყო. ამის გამო, ჩარლზმა გადაწყვიტა, ძმას კონკურენცია გაუწიოს და არჩევნებზე კენჭი იყაროს.

ჰერპესს მალე დაამარცხებენ

ექსპერტთა განცხადებით, გასულ წელს, მედიცინისა და ფარმაკოლოგიის სფეროში მიღწეულ რევოლუციურ აღმოჩენებს შორის, ერთ-ერთი აღსანიშნავი ჰერპესის სამკურნალო ახალი პრეპარატის შექმნაა. ილინოისის უნივერსიტეტის სწავლულებმა შექმნეს დაბალმოლეკულური ნივთიერება BX795, რომელიც ადამიანის თვალის რქოვანას უჯრედებში სრულად ანადგურებს მარტივი ჰერპესის ვირუსს. ამ ტიპის ვირუსი უპირველესად აზიანებს თვალისა და პირის ღრუს ლორწოვან გარსებს, თუმცა მას გენიტალიების დაზიანებაც შეუძლია. ახალი პრეპარატი დიდი იმედია ჰერპესინფექციით დაავადებულთათვის. დღეისთვის, ამ ტიპის ვირუსის სრული ელიმინაცია შეუძლებელია. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ახალი პრეპარატი მაქსიმალურ შედეგს გამოიღებს.

ჭკვიანი მოწყობილობა – თქვენს დასაცავად!

ცოტა ხნის წინ, შვედურმა სტარტაპმა – Plegium, საკუთარი ნამუშევარი წარადგინა. Smart Pepper Spray „ჭკვიანი“ წიწაკის ბალონია, რომელსაც არა მხოლოდ თავდამსხმელის დეზორიენტაცია შეუძლია, არამედ საჭირო დახმარებასაც თავად გამოიძახებს. შვედმა გამომგონებლებმა სპეციალური აპლიკაცია შექმნეს, რომელსაც სმარტფონზე ჩამოტვირთავენ. „ჭკვიანი“ წიწაკიანი ბალონი კი მას ბლუთუსით უკავშირდება. მომხმარებელმა წინასწარ უნდა მიუთითოს კონტაქტები, რომელსაც საფრთხის შემთხვევაში, პროგრამა დაუკავშირდება. გარდა თანამედროვე ტექნოლოგიებისა, მოწყობილობა სირენითა და მოციმციმე შუქებითაც არის აღჭურვილი. ერთი ბალონი, დაახლოებით, ათჯერ გამოყენებას ჰყოფნის, მის აკუმულატორს ოთხწლიანი ვადა აქვს და დამუხტვაც არ სჭირდება. ჭკვიანი მოწყობილობის ფასი 70 ევროა.

ჩინეთში ღამის ტურიზმი ყვავის

ჩინეთში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს, ეგრეთ წოდებული, ღამის ტურიზმი. ქვეყნის ერთ-ერთი ტურისტული ინტერნეტ-სააგენტოს გამოკითხვების თანახმად, მოგზაურთა 80% ღამის ტურებს ყველაზე უფრო მიმზიდველად ასახელებს. ღამის ტურიზმი მეტ სილამაზეს სძენს ქალაქელებისა და ტურისტების ცხოვრებას. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ჩინური მეგაპოლისების ახალ სავიზიტო ბარათად თვლიან. გარდა ამისა, კომერციის სამინისტროს მონაცემებით, სხვადასხვა სერვისებისა და გაყიდვების 60%, სწორედ ღამის პერიოდზე მოდის.

ინექციას აბით ჩაანაცვლებენ

კანადელმა მკვლევარებმა ინსულინის აბი შეიმუშავეს, რომლის პერორალურად მიღებაა შესაძლებელი – ეფექტი ისეთივეა, როგორც ინექციის შემთხვევაში. ინსულინმა გლუკოზაზე ეფექტიანად რომ იმოქმედოს, მან სწრაფად უნდა მიაღწიოს ღვიძლს. ორალური მეთოდით მიღებულ წამალს ორგანომდე მისაღწევად შეიძლება 2-4 საათი დასჭირდეს, რაც საკმაოდ დიდი დროა. ინექციით კი ინსულინი ღვიძლში 30 წუთში ხვდება. კანადელების მიერ შემუშავებულ ტაბლეტებსაც, ინექციის მსგავსად, ნახევარი საათი სჭირდება ღვიძლამდე მისაღწევად. აბები პირის ღრუში იხსნება და ლოყების შიდა მხარეს არსებული გარსის მიერ ათვისების შემდეგ, ინსულინი, კუჭის გვერდის ავლით, პირდაპირ ღვიძლს მიეწოდება. ამ გზით კი დრო და ინსულინის რაოდენობაც იზოგება. მკვლევარებმა ახალი აბები წარმატებით გამოსცადეს ცხოველებზე, ამჟამად კი კლინიკური ცდებისთვის ემზადებიან.

თევზის ქონი გულსაც უხდება

ამერიკელი სწავლულები აცხადებენ, რომ თევზის ქონის ჩართვა ყოველდღიურ რაციონში აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, გამონაკლისის გარეშე. ხუთწლიანი კვლევების შედეგად, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ სასარგებლო თვისებების გამო, თევზის ქონი დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, აუმჯობესებს მის მეხსიერებას და იცავს გულს სხვადასხვა დაავადებებისგან. მკვლევრებმა გაარკვიეს, რომ დიდი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებები, მათ შორის, დე-ვიტამინი, ომეგა-3, „ა“ და „ბე“ ვიტამინები, რომლებსაც ეს ქონი შეიცავს, ორგანიზმს ინფექციური დაავადებების თავიდან აცილებაში ეხმარება. თევზის ქონიდან მიღებული პრეპარატები ეფექტიანია ინფარქტის, ინსულტისა და გულსსხლძარღვთა დაავადებების სხვა ფორმებისგან დასაცავად.

სალონში საკუთარი წყლით მიდიან

უჩვეულო გვალვებმა ევროპელებს უამრავი საზრუნავი გაუჩინა. ესპანეთის ქალაქ რივადავიას მცხოვრებლები იძულებულნი არიან, სილამაზის სალონში წასვლისას, წყალიც წაიღონ. გვალვის გამო, გალისიის ეს პატარა ქალაქი მუდმივად წყლის დეფიციტს უჩივის. სალონში გასალამაზებლად მისულებმა ბოთლით წყალი უნდა მიიტანონ და გამოყენების წინ, მიკროტალღურ ღუმელში გაათბონ.

„წყალი მაშინ მოდის, როცა ჩვენ არასამუშაო საათები გვაქვს, ამიტომ ვცდილობთ, ამ სიტუაციას რამენაირად გავუმკლავდეთ“, – აცხადებს ერთ-ერთ სალონის სტილისტი. ქალაქ რივადავიას მცხოვრებლების განცხადებით, პურის მცხობელებს და ბარის მფლობელებს საჭირო წყალი დაწესებულებებში ვედროებით მიაქვთ სასმელი წყლის შადრევნებიდან, რომლებიც შედარებით სტაბილურად მუშაობენ. ასეთი რამ ამ ქალაქში პირველად ხდება, მიუხედავად იმისა, რომ რივადავიას გვერდით, ორი მდინარეა.

სეტყვამ ბავშვი იმსხვერპლა

ესპანეთის ჟირონას პროვინციაში, უზარმაზარი სეტყვის გამო, გოგონა გარდაიცვალა, ხოლო 30 ადამიანი დაშავდა. ადგილობრივი გამოცემის ცნობით, მძიმე ტრავმებით ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს. ბევრ დაზარალებულს კი, მიღებული ტრავმების გამო, ნაკერების დადებაც დასჭირდა. 10 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრის მქონე სეტყვამ ზიანი მიაყენა ტრანსპორტს და სახლის სახურავები დააზიანა. როგორც მეტეოროლოგები ამბობენ, ასეთი სეტყვა 20 წელზე მეტია, არ ყოფილა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.